რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 29 აპრილი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 35 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 35

რედაქციისაგან.

ვთხოვთ ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, მუშათა კოოპერატივებს, კლუბებს და სხვ. მოგვაწოდონ თავიანთ სხდომების ოქმები, გამგეობის დადგენილებები და სხვა საყურადღებო მასალები გაზეთში მოსათავსებლათ.

გულმოკლული ძმა ლავრენტი, ბიცოლა ფოტინე, ბიძაშვილები: ვლოდია და ნადია და ბებია ალათი სტურუაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ბრძოლის ველზე გარდაცვალებას ჯარის კაც

ვიქტორ მარკოზის ძე სტურუასი

გამოტირილი დანიშნულია დღეს, 29 აპრილს დ. სამტრედიაში.

პირველ მაისს გამოვა ახალი ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

ალიონი

ვ. დ. საყვარელიძის რედაქტორობით.

მონაწილეობას მიიღებენ: ს. აბაშელი, ვ. ბურჯანაძე, დ. თურდოსპირელი, დ. ლიხელი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაველი, ილ. რუხაძე, ნ. საქარელი, გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, კ. ქავთარაძე, პ. ქავთარაძე, ნ. ქარცივაძე, გ. ქუჩიშვილი, შ. შარაშიძე (თაგუნა), ქრ. შარაშიძისა, ნ. ჩხიკვაძე, ს. ჰანტურიშვილი, ი. ჯაფარიძე, ი. ხელაძე და სხვ.

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 5 მ. და 50 კ., ერთი თვით 1 მ., ცალკე ნომერი 10 კ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства, Контора Груз. Благотв. Об-ва Лаврентію Санадзе.

რედაქცია დროებით იმყოფება ქართ. საქვ. საზოგ. სადგომში. (სასახლის ქ. № 5) და ღია არის საღ. 6—8 საათამდე.

მეოთხე უბნის სასურსათო კომიტეტისაგან.

მოქალაქენო! კვირას, 30 აპრილს დილის 11 საათზე ახალი კლუბის ბაღში (შესასვლელი ფრეილინის ქუჩიდან) დანიშნულია

საზოგადო კრება

ორივე მოქალაქეთა, რომელთაც 19 წელი შეუსრულდათ და მეოთხე უბანში სცხოვრობენ. კრების საგანია არჩევა 7 წარმომადგენლისა საუბნო სასურსათო კომიტეტში. ვაცნობთ რა სასურსათო საქმის მოწესრიგებას მიუცილებელ და გადაუდებელ საკითხათ, მოუწოდებთ ყველა მოქალაქეებს, შეასრულონ თავიანთი მოქალაქობრივი ვალი, და დაესწრონ აღნიშნულ კრებაზე.

2—1 **დროებითი პრეზიდიუმი მეოთხე უბნის სასურსათო კომიტეტისა.**

მეორე უბნის სასურსათო კომიტეტი

იწვევს მოქალაქეებს, რომლებიც მეორე უბანში სცხოვრობენ სხდომაზე, სასურსათო საკითხის შესახებ, რომელიც დანიშნულია კვირას, 30 აპრილს, დილის 11 საათზე თფილისის კრუჟოკის საზამთრო შენობაში; დავიდოვის ქუჩა № 1.

თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭო.

საზოგადო კრება საბჭოს წევრებისა დანიშნულია **დღეს, შაბათს, 29 აპრილს 1917 წ.** საღამოს 5 საათიდან **სახალხო სახლში.**

დღის წესრიგი: 1) პეტროგრადის ამბები და კოალიციური სამინისტრო. 2) ნ. ელიავას მოხსენება სასურსათო საქმეზე. 3) ქალაქ. თვითმართველობაში ბურჟუაზიის გამოლაშქრება საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წინაამდეგ. 4) მომრიგებელი კამერის დაარსება. 5) მოხსენება შესახებ სიეზდისა და კავკასიის ორგანიზაციათა ცენტრის შექმნის შესახებ. 6) საბჭოს წევრთა რიცხვის გამრავლება. 7) რეგლამენტის დამტკიცება. 8) მანდატების დამტკიცება. 9) აღმასრულებელ კომიტეტის განცხადება.

ხამშაბათს, 2 მაისს 1917 წ საღამოს ექვს საათზე, არტისტიული საზოგადოების საზაფხულო შენობაში (მიხეილის ქუჩა) დანიშნულია თფილისის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის

მეორე რაიონის წევრთა საერთო კრება

(8, 9 და 10 უბნები და ტრამვაი), რომელზედაც დაშვებულ იქნებიან უკვე ჩაწერილი წევრები პარტიისა. ვთხოვთ ამხანაგებს იქონიონ თან საწევრო ბარათები ან კვიტანციები და კრებაზე დანიშნულ დროს გამოცხადდენ.

კავკასიის ოლქის საინტენდანტო მართველობა

იწვევს იმ პირთ, რომელთაც შეუძლიათ დამზადება თეთრეულისა ჯარის-კაცებისათვის პარტიობით არა ნაკლებ 25,000 წყვილი საცვლებისა, სახაზინო მასალისაგან (მიტკლისა და ნარმისაგან), მხოლოდ გასაწყობი უნდა დაურთოს მოიჯარადრემ თანახმად არსებული პირობებისა და აწერილობისა. ვისაც სურს აიღოს აღნიშნული იჯარა, უნდა წარმოადგინონ განცხადება საინტენდანტოს სამართველოში წერილობით ანუ დეპეშით ამა წლის 15 მაისამდე რომელშიაც უნდა იყოს აღნიშნული თუ რამდენი წყვილი საცვალის გაკეთებას კისრულობს, რა ვადასა და ფასში შეუძლია გაკეთება და აგრეთვე თავის სწორი მისამართი.

პირობების აწერილობის და ნიმუშების ნახვა შეიძლება ყოველ-დღე სამუშაო საათების დროს საოლქო საინტენდანტოს სამართველოში, ნიკოლოზის ქუჩა № 51, ქალაქ გარეთ მცხოვრებ მოიჯარადრეთ შეუძლიათ მოითხოვონ პირობებისა და ნიმუშების გაგზავნა; ამისათვის საჭიროა მათ თავიანთი მისამართი გამოგზავნონ. 3—3

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი.

აპრილის 30 ს, 1917 წ., ახალი კლუბის შენობაში დანიშნულია ქართული თეატრის მსახიობთა ყრილობა

საპროფესიო კავშირის დასაარსებლად.

სხვა ქალაქებში მყოფ ქართველ მსახიობთ, რომელთაც ოდესმე უმსახურნიათ ან ეხლა მსახურებენ ქართულ თეატრში, ვთხოვთ ამ დღისათვის მიუცილებლათ ჩამობრძანდენ ქ. თბილისს. ყრილობა დაიწყება დილის 11 საათზე.

რჩეულნი: ანდრონიკაშვილი კ., დადიანი შალვა, შალიკაშვილი ვალ.

მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო

მოუწოდებს რკინის გზის მუშათა ყველა ორგანიზაციებს (ადგილობრივსა და ცეხების კომიტეტებს და სხ.) სასახლეში, კვირას 30 აპრილს დილის 10 საათზე. განსარჩევი საგანია: სახელოსნოების საქმე, უფლება და მოვალეობა მუშათა ორგანიზაციების.

სასურველია მასალების წარმოდგენა, თუ რა ცვლილება მოახდინა მუშაობის წარმოებაზე სახელმწიფოს გარდაქმნამ.

ძ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

საზაფხულო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.

ორშაბათს, 1 მაის 1917 წ. მუშათა საბჭოს სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება:

I.

მსხვერპლი

პირველი და მესამე მოქ. გედევანიშვილისა

II.

დედის ერთა.

ვოდევილი 1 მოქ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრელიძე და წრის ყველა სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი.

დასაწყისი საღ. სწორეთ 9 ნახ. საათზე. ◆ ადგილების ფასი 1 მ. 20 კ.-დან 5 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე. შემდეგი წარმოდგენა 9 მაის. ◆ ◆ რეჟ. ქ. შათირიშვილი.

კახეთის კავშირი წვრილი კრედიტის ამხანაგობებისა

ამით აცხადებს, რომ 30 აპრილს დილის 10 საათზე ქ. თელავში დანიშნულია

წლიური კრება კავშირისა.

სასურსათო კომიტეტი მე-6-ე ნაწილის საორგანიზაციო ბიუროსი

გთხოვთ მოქალაქენო! (მე 6-ნე 6-წ.) მობრძანდეთ კვირას, 30 აპრილს, 12 საათზე მურაშკოს თეატრის დარბაზში, თელავის ქუჩა № 51 სასურსათო კომიტეტის წევრების ამოსარჩევათ.

2—1

რევოლიუცია და დროებითი მთავრობა.

ორი თვე სრულდება, რაც მეფის ტახტი დაემხო. ახალ წყობილების სათავეში დროებითი მთავრობა მოექცა. ის ბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენლებისაგან შედგება. დემოკრატია თავმოყრილია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა გარშემო და ილტვის მთავრობა თავის გავლენას დაუმორჩილოს. დროებითი მთავრობა იარსებებს, სანამ ის დემოკრატიის სურვილებს ასრულებს, არა და ის უნდა გადადგეს და ადგილი სხვებს დაუთმოს—ასეთ არის მდგომარეობა.

თავდაპირველათ ყველაფერი წესიერათ მიმდინარეობდა. მარა ბურჟუაზია რევოლიუციის დაბოლოვებას ეტრფის. ყველაზე უფრო აშკარათ ეს დეპუტატმა მაკლაკოვმა გამოთქვა. „მხოლოდ მაშინ—განაცხადა კადეტთა ლიდერმა—როცა ხალხი გაიგებს, რომ რევოლიუცია დამთავრდა და რეფორმების ხანა დაიწყო, შეგვეძლება ვთქვათ, რომ რუსეთმა თავიდან აიცილა საფრთხე“. რევოლიუციის დამთავრება—ასეთია რუსეთის ახანა კადეტთა შეხედულებით. აი კონფლიქტის სათავე.

მართლაც, რევოლიუცია მხოლოდ იწყება იმპერიალისტთა ალაგმვა და საპატიო ზავის ჩამოგდება, აგრარული საკითხის დემოკრატიის სასარგებლოთ გადაჭრა, მუდმივი ჯარის მოსპობა და სახალხო მილიციის დაწესება და სხვ. ყველა ეს ახლო მომავლის საქმეა. ბურჟუაზია რევოლიუციის დამთავრებას ეტრფის. ეს იმას მოასწავებს, რომ იმპერიალისტური ომი გაგრძელდეს, გლეხკაცობა მემამულეთა მიერ ძველებურათ იყვლიფებოდეს და საერთოთ დემოკრატია მეორე რიგში დადგეს, ბურთი და მოედანი კი სავსებით ბურჟუაზიას დაუთმოს. ამ მიზნით ფართო მუშაობას შეუდგენ. ცდილობენ პეტროგრადის მუშებს იარაღი აყარონ, დროგამოშვებით იმპერიალისტურ ზრახვებს არ მალავენ და ასე დემოკრატიის დაუძლურებას ლამობენ. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში დროებითი მთავრობისადმი უნდობლობა იზრდება.

ამ დღეებში მთავრობამ ვრცელი დეკლარაცია გამოაქვეყნა და ხალხისაგან დახმარებას მოითხოვს. დემოკრატია მზათაა მას მხარი დაუჭიროს კონტრ-რევოლიუციონერებთან ბრძოლაში. მარა ის ვერას შემთხვევაში ვერ შეურიგდება დროებითი მთავრობის ცდას გაუსხლტეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, საერთოთ რევოლიუციონურ ორგანოთა კონტროლს. ეს დემოკრატიის დაუძლურების მომასწავებელი იქნებოდა.

ხალხის ინტერესია არა დროებითი მთავრობის დაცემა. ამჟამათ ეს კონტრ-რევოლიუციონერთა წისქვილის ამრუნება იქნება, მარა დროებით მთავრობას კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ ხალხის ნდობის დამსახურება შეიძლება არ ლიტონი სიტყვით, არა დეკლარაციით, არამედ რევოლიუციონური საქმიანობით, კონტრ-რევოლიუციონერთა ალაგმვით და დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარებით.

ხალხისაგან ნდობას ითხოვენ, დემოკრატია არ მოაკლებს თავის ნდობას ისეთ მთავრობას, რომელიც რევოლიუციის გაღრმავებას გზას უხსნის და მის განმტკიცებას ემსახურება.

პოლიტიკა ჯარში.

სოციალდემოკრატია წინააღმდეგია მუდმივ ჯარის არსებობის, რადგან ის მთავრობის ხელში პირველ ყოვლისა დემოკრატიის საწინააღმდეგო იარაღათ ხდება.

ქვეყნის დაცვისთვის გარეშე მტრის თავდასხმისაგან, მას საკმარისათ მიაჩნია სახალხო მილიციის არსებობა, ე. ი. თვით ხალხის შეიარაღება.

დღევანდელმა მსოფლიო ომმა, რომელშიაც სწორეთ შეიარაღებული ხალხია ჩაბმული საუცხოვოთ დაამტკიცა ამ დებულების სისწორე. მარა ამ ომმა დაამტკიცა აგრეთვე, რომ შეიარაღებული ხალხი დემოკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველათ მთავრობას არ გამოადგება. პირიქით ასეთი ჯარი დემოკრატიას გვერდში უდგას და მუშათა კლასთან ეწევა განმათავისუფლებელ ბრძოლას.

რუსეთის არმიამ მუშათა კლასთან ერთათ საფუძველი ჩაუყარა რუსეთის დიდ რევოლიუციას. მაშასადამე იგი ძლიერ პოლიტიკურ ფაქტორათ შეიქნა.

არსებითათ იგი ყოველთვის ერეოდა პოლიტიკაში, მარა არა თავისთვის, არამედ სხვებისთვის ის იყო იარაღი პოლიტიკური ბრძოლის, მარა არ იყო თვითი პოლიტიკური მებრძოლი. დღეს ის განთავისუფლდა სხვის იარაღის როლიდან და თვით გახდა პოლიტიკური მებრძოლი, თავის ინტერესების და შეხედულების მიხედვით.

და აი რევოლიუციამ ეს მდგომარეობა იცნო, კანონათ აღიარა. ჯარისკაცი მოქალაქეთ გამოცხადდა და იგი პოლიტიკურ უფლებებით აღიჭურვა.

და განა ვინმე იფიქრებს ამ უფლებების აყრას ჯარისკაცისათვის?

რასაკვირველია არა.

მხოლოდ „კავკ. რაბოჩის“ უპასუხისმგებლო ხელმძღვანელებს ეჩვენებათ, თითქო ვიღაც ასეთ ბოროტ მოქმედებას აპირებს და ფრაქციული ჟინით გატაცებულნი ასეთ აბსურდს თავის ფრაქციულ მოწინააღმდეგეთ აწერენ. (იხ. „კავკ. რაბ.“ № 37 მეთაური). ასეთსავე აზრს აწერენ კავკასიის ფრონტის სიეზდს და მის მომხსენებელს პოპოვს, რომლის რეზოლიუცია სიეზდმა ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო. თავისთავათ ცხადია არც პოპოვი და მისი თანამოაზრენი, არც ფრონტის სიეზდი ასეთ აზრს ერთ წუთსაც არ იზიარებენ.

მაშ რაშია საქმე?

საქმე ეხება ჯარში, ყაზახებში, პოლკებში განცალკევების და პარტიულ ორგანიზაციების შექმნაზე ამ ჟამათ ხელის აღებას.

ეს ტაქტიკის საკითხია და არა პრინციპის, ეს საკითხია მომენტის და მის მოთხოვნილებების. მოგვიტანს სარგებლობას, რომ არმია დავყოთ პარტიულ ნაწილებათ, პოლკები, ეროვნულ ნაციონალურ ბრიგადებათ და ასე არევ-დარევა და შინაური მტრობა და შუღლი გავაჩაღოთ მასში?

რეაქციონერთ დღეს სწორეთ ასეთი დანაწილება ენატრებათ, მათ სურთ ამით დაასუსტონ ძალა არმიის და ასე გზა გაუკაფონ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს. რევოლიუციონერთ სურთ პირიქით ჯარი, როგორც ერთი მთლიანი რევოლიუციონური ჯარი შეინახონ და იგი დემოკრატიის მტკიცე ბურჯათ გამოიყენონ.

ჩვენ ვიცით, რომ რევოლიუციის კეთილდღეობისთვის გარეშე საზოგადოებამაც პარტიათა შორის ბრძოლა მეორე პლანზე დააყენა და წინა რიგში რევოლიუციის სამსახური წამოდგა და განა ეგევე არ უნდა იყოს ჯარში?

დიახაც რომ უნდა იყოს. კიდევ მეტი. ჯარს უნდა განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეპყრათ, როგორც შეიარაღებულ ძალას. იქ განხეთქილებას შეუძლია დაუყონებლივ სისხლის ღვრის ხასიათი მიიღოს; აი ამას უნდა ანგარიში გაუწიოთ და ამიტომ თავი დავიჭიროთ ისეთ ორგანიზაციების შექმნისაგან, რომელთაც ასეთი შედეგის გამოწვევა შეუძლია დღევანდელ მომენტში.

ჯარს აქვს თავისი ორგანიზაციები, ესაა, ჯარისკაცთა საბჭოები, პოლკის და სხვა კომიტეტები, რომელნიც მათ საერთო მისწრაფებას გამოხატავენ და რევოლიუციურ ბრძოლაში წინ უძღვებიან. მარა ამით თქვენ უსპობთ ჯარისკაცს საშვალებას პარტიული ადამიანი გახდეს, გვეტყვიან ჩვენ. სრულიადაც არა.

თვითეულ ჯარისკაცს შეუძლია და სრული უფლება აქვს იმ პარტიაში ჩაეწეროს, რომელსაც ის რწმენით ეკუთვნის.

ამით ის უერთდება და უკავშირდება თავის თანამოაზრე ჯარისკაცთ, და ასე თავის მოქალაქობრივ უფლებებს ახორციელებს.

ამნაირათ შეიძლება დავიცვათ ჯარის მთლიანობა, მისი რევოლიუციური სულისკვეთება და თან დავაკმაყოფილოთ ჯარისკაცთა პარტიული ლტოლვილებაც.

ესაა საუკეთესო სამსახური რევოლიუციის გაღრმავების და გაძლიერების. ესაა საუკეთესო თავდები რევოლიუციურ ძალთა სავსებით გამოყენების.

სასურსათო კრიზისის მძიმე შედეგები.

სასურსათო კრიზისი ძლიერდება. ძველმა მთავრობამ თავისი ვერაგული პოლიტიკით წარმოების ყველა დარგებში, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობაში, დიდი არევ-დარევა შეიტანა და მით იმპერიის მილიონობით მცხოვრებნი და არმია დამშევის გზას დააყენა.

სასოფლო მეურნეობას შრომა და კაპიტალი ჩამოშორდა, მილიონობით სოფლის მცხოვრებნი ბრძოლის ველზე გავიდნენ და ადგილმამულების დამუშავება მცირე-წლოვანთა და მოხუცებულების ანაბარათ დარჩა. ეჰვს გარეშეა ასეთ პირობებში მიწების დამუშავება, მიწის ნაყოფიერება შემცირდებოდა.

უკანასკნელმა გარემოებამ მთელს რუსეთის იმპერიაში პირველ მოთხოვნილებათა საგნების შემცირება გამოიწვია. ყველგან ქალაქებში და დაბა სოფლებში ხალხი პურის და სხვა სანოვაგის სიმცირეზე სჩივის.

უფრო სამძიმო და სამწუხაროა ასეთი კრიზისი ამიერ-კავკასიაში, ვინაიდან დასახელებული კუთხე ჩვეულებრივ მშვიდობიანობის დროსაც კი საკუთარი სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებით არ იკვებებოდა. პური უმთავრესათ რუსეთიდან შემოჰქონდათ და ამით იკმაყოფილებდენ თავიანთ მოთხოვნილებას. რუსეთის მსხვილმა მეურნეობამ ამიერ კავკასიის სასოფლო წარმოება მეტოქობის მეოხებით დააქვეითა და ამიერ კავკასიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა რუსეთის სამეურნეო ნაწარმოების მომხმარებლათ გახადა.

ასეთი დამოკიდებულება ერთი-ორათ სამძიმო შეიქნა ამ საერთაშორისო ომის ხანაში მიმოსვლის შეჩერებისა და საქონლის გადატანის გამო.

ამიერ კავკასიის საერთო სასურსათო კომიტეტის კრებაზე აშკარათ გამოირკვა, რომ აქ სასურსათო კრიზისი მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება და ახლო მომავალში იგი მწვავე შედეგებს მიიღებს.

თვით ჩრდილო კავკასიაში, საცა ხორბლის მთავარი საწყობია და საიდანაც იგზავნება კავკასიის მცხოვრებთათვის საჭირო სანოვაგე პურის საწყობებში ხორბალი და ფქვილი გამოლეულა. სასურსათო კომისიის თავმჯდომარე ბრჩის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ახალი მოსავლამდის ამიერ კავკასიის მცხოვრებთ 20 მილიონი ფუთი პური დააკლდება. 20 მილიონი ფუთი პურის დაკლება მეტათ მწვავე მოვლენაა და ამიტომაც ამიერ-კავკასიის სასურსათო კომიტეტი პურის მოხმარის საქმეში ეკონომიის გაწევას, გაფრთხილებას მოითხოვს. გარდა ამისა განზრახვა აქვთ ამიერ-კავკასიის პურის მონოპოლია მოაწყონ და ხალხის საჭირო პირველ მოთხოვნილების სურსათი ბარათებით მიყიდონ. დიახ სასურსათო კრიზისი ამიერ კავკასიაში მწვავე სახეს ღებულობს. საჭიროა ყველა სასურსათო კომისიებმა, ცენტრალურ სასურსათო კომისიებთან ერთად ყოველი ღონე იხმაროს პურის მონოპოლიურათ ყიდვა-გაყიდვა მოაწ-

ყოს; პურის მოხმარებაში ეკონომია გასწიონ; პურის ბარათებით გაყიდვის შემოღებას ხელი შეუწყონ და ამ გზით იქნება რამდენიმეთ შეამსუბუქონ ის საშინელი კრიზისი, რომელიც ძველმა მთავრობამ ხალხს დაუტოვა და რომლის მოსპობა მჭიდროთ შეკავშირებულია საერთო მშვიდობიანობისა და ზავის ჩამოგდებასთან.

ჩვენი პარტია.

ჩვენი პრესა.

3.

წინა წერილებში ვამბობდი, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას როგორც რუსეთის ამ დიდ რევოლიუციაში, ისე მომავალ დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი საქმე და როლი აქვს დაკისრებული.

ძლიერი პარტიული აპარატი და ამ ძლიერი პარატის მწყობრათ ამუშავება ჩვენი მისწრაფებათა განსახორციელებლათ—აი პარტიის წევრთა საზრუნავი და სამოქმედო საგანი.

პარტიას აქვს ერთი საშუალება, რომელიც უძლიერესათ ხელს უწყობს მის სიძლიერეს და გავლენას.

ეს საშუალება ჩვენი საკუთარი პრესაა.

პრესა პარტიისათვის სინათლეა, ურომლისოთ ის ვერას დაინახავს, პრესა პარტიისათვის ის წმინდა ჰაერია, ურომლისოთ პარტია თავისუფლათ ვერ ისუნთქავს.

პრესა თავს უყრის და აკავშირებს გაბნეულ ძალებს; თავის გარშემო იკრებს ყველა თანამოაზრეთ და საჭირო დროს ყველას ერთათ ამოქმედებს.

კიდევ მეტი. ჩვენი პრესა სასტიკ ბრძოლას უცხადებს ყველა მათ, ვისაც ჩვენზე იერიშები მოაქვს, ვისაც სურს მუშათა კლასი თავის მხარეზე გადაიბიროს, თვითონ გამაგრდეს და მუშათა პარტია კი დაასუსტოს.

ჩვენი პრესა ეწევა დადებითი მუშაობას პარტიის შიგნით და დარაჯათ უდგას ამ პარტიას ყველა მის მტერთა დასამარცხებლათ.

გერმანიის სოციალდემოკრატიას ოთხმოცდა ხუთი ყოველდღიური გაზეთი და ბევრი სხვა ყოველკვირეული და ყოველთვიური ჟურნალები აქვს.

თავისი საკუთარი პრესის სიმრავლით და სიძლიერით გერმანიის პარტიამ შესძლო გაექარწყლებია ბურჟუაზიული პრესის გავლენა გერმანიის მუშათა კლასზე.

პირიქით, საფრანგეთში ძლიერი პარტიული პრესის უქონლობის გამო მუშათა კლასი დიდხანს ბურჟუაზიული პრესით იკვებებოდა და ეს გარემოება საფრანგეთის მუშათა კლასის მოძრაობას დიდათ ეტყობოდა.

რა გზით შეიძლება ბევრი პრესის გაძლიერება, მისი გაქანების კიდევ უფრო გაფართოვება და განმტკიცება?

უმთავრესათ სამი გზით: 1) პრესის იდეიური მხარის გაძლიერებით, 2) პრესის ძლიერი ფონდის შექმნით და 3) პრესის გავრცელებით, მისი მუდმივი მკითხველთა მოპოვებით.

რომ ჩვენი პრესა იდეიურათ ძლიერი უნდა იყოს, ეს ყველასათვის ცხადია.

პრესა დღეს ჩვენი უდიდესი იარაღია და მას უდიდესი ყურადღება უნდა ექცეოდეს.

პრესას უნდა ჰყავდეს თავისი მუდმივი მუშაკები, რომელთა გულისყური მხოლოდ პრესის გაძლიერებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

არ შეიძლება ყოველგან იყო, აურებელი შენი ენერგია იხარჯებოდეს და ამავე დროს პრესასაც ხელმძღვანელობდე.

გერმანიის მუშათა პრესის სიძლიერე ერთი მხრით იმით აიხსნება, რომ ამ პრესას ჰყავს თავისი პროფესიონალური ჟურნალისტები და პუბლიცისტები, რომელნიც უდიდეს თავის ძალას და ენერგიას პრესის კეთილდღეობას ალევენ.

იქ პრესაში მომუშავენი მატერიალურათ უზრუნველყოფილი არიან პარტიისაგან: ისინი თავის სარჩენათ სხვა რაიმე სამუშაოს როდი ეძებენ; ისინი ყველანი ლიტერატურული შრომით ცხოვრობენ. ამიტომ მთელი მათი გულისყური, მთელი მათი ნების ყოფა, ცოდნა, ენერგია და გატაცება პრესის კეთილდღეობას ეწირება.

ამხანაგებს ექიმებს, ვექილებს, მასწავლებლებს და სხვა რომელიმე პროფესიის მქონეთ, რომელთა უდიდეს ენერგიას მათი პროფესია იჭირავს, შეუძლიათ პრესას სხვათაშორის დახმარება გაუწიონ; მაგრამ მათ მუშაობაზე პრესა თავის იმედებს ხომ ვერ დაამყარებს.

ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ ამხანაგები ექიმები, ვექილები თუ მასწავლებლები, ვისაც წერის უნარი შესწევს, პრესას არ უნდა ეხმარებოდეს. პირიქით ყველა, ვისაც რით და რა დროსაც შეუძლია, პარტიას უნდა ეხმარებოდეს.

მე მინდა ვთქვა, რომ, როგორც ექიმობა, ვექილობა თუ მასწავლებლობა, ისე პრესაში მუშაობაც პროფესიათ უნდა იქცეს და მით მან სპეციალური ხასიათი მიიღოს.

ახალმა ხანამ ჩვენი ცხოვრებისა ჩვენ პარტიაში ამ მხრივაც ახალი წესი უნდა გაამეფოს.

ჩვენმა მუშებმა ამ ახალ წესს ყურადღება უნდა მიაქციონ და ევროპის მუშათა პრესის საყურადღებო მაგალითებით იხელმძღვანელონ.

1) პრესაში მუშაობამ უნდა მიიღოს პროფესიონალური ხასიათი.

2) პარტიისათვის საჭიროა ყოველდღიური გაზეთები, და ყოველ კვირული თუ თვიური ჟურნალები.

3) პარტია უნდა სცემდეს წიგნებს, ბროშურებს, ფურცლებს, რომლებიც გააშუქებენ სოციალდემოკრატიის მსოფლ მხედველობას.

ყოველივე ეს კი ითხოვს პარტიისაგან დიდ მატერიალურ ძალას, ძლიერ ლიტერატურულ ფონდს.

წავიდა ის დრო, როცა პარტიას ვინმე დროებით თანამგრძნობელი რამეს შემოსწირავდა თავის მდიდარ ჯიბიდან.

ეხლა მდიდრები, მდიდრების ინტერესთა დამცველ პარტიებს ეხმარებიან.

ჩვენი პრესის მატერიალური მხარე, ჩვენი ლიტერატურული ფონდის სიძლიერე დღეს მუშების სიფხიზლესა და თვითშეგნებაზეა დამოკიდებული. მაშ ამ მხარესაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დღეს.

მესამე საკითხი, ეს ჩვენი პრესის გავრცელებაა.

ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი პარტიის გავლენისათვის, ჩვენი იდეების ფართე მასაში გაცნობისათვის, საჭიროა დიდი ენერგიით და სისწრაფით ვრცელდებოდეს ხალხში ჩვენი პრესა, რომელიც ერთი მხრით პარტიის თეორიულ მხარეს აშუქებს, მეორე მხრივ კი ყოველდღიურ ბრძოლას ეწევა.

თუ დღეს სოციალდემოკრატიას ჩვენი ერის უმრავლესობა თანაუგრძნობს, საჭიროა რომ ამ უმრავლესობამ ჩვენი პრესა მუდმივათ იკითხოს.

ჩვენი გაზეთის ძლიერი ტირაჟი გაზეთის მატერიალურ მხარეს გააუმჯობესებს და ეს ერთი მხრივ ჩვენი პრესის ფონდის საკითხის გადაწყვეტასაც ხელს შეუწყობს.

მეტი ძალა, მეტი ენერგია, მეტი ენტუზიაზმი და ჩვენი პარტიული პრესაც ისეთი ძლიერი გახდება, როგორც ჩვენი პარტიაა.

ქ. გვარჯალაძე.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

საფრანგეთის სოციალისტების კრება.

დეპეშათა ცნობით საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმცირესობამ თავის ერთ-ერთ კრებაზე დაადგინა სტოკჰოლმის საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღოს. იმავე პარტიის ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა კონფერენციაზე მონაწილეობის საკითხი ხელმეორეთ გადასინჯოს და ნაბიჯი ისე გადადგას.

საერთაშორისო სოციალდემოკრატია.

სტოკჰოლმი. ჩამოვიდა დანიის სოც.-დემ. პარტიის დელეგატები სტაუნინგი და მადსენი, ნორვეგიის—რიდნესი და ნილსონი, რომელთაც მოლაპარაკება უნდა გამართონ შვეციის სოც.-დემოკრატებთან, ბრანტინგთან, მელლერთან და ლინკისთან ინტერნაციონალის აღდგენის შესახებ. ჰოლანდიისა და სკანდინავიის დელეგატები კრებებს მართავენ მეომარ სახელმწიფოთა დელეგატებთან ერთად საერთო სოც.-დემოკრატიული შეხედულებების შესამუშავებლათ.

პარიზი. ოფიციალურათ გამოქვეყნდა შემდეგი დეკრეტები: 1) უნდა გადაწერილ იქნას მამაკაცები 16—60 წლამდე პროფესიის მიხედვით. 2) ორი მაისიდან შემოღებულ იქნას ორი დღე მარხვა კვირაში. 3) პირველი მაისიდან ყოველი ფქვილი უნდა მოხმარდეს მხოლოდ პურის ცხობას. 4) უნდა აეკრძალოს ყველა საზოგადო დაწესებულებას და კერძო პირებს საზღვარგარეთის გემის ყიდვა-დაქირავება სასურსათო მინისტრის ნებადაურთველათ.

სასურსათო კრიზისი.

ასტრახანი. ხმა გავრცელდა, რომ სისტემატიურათ გააქვთ პური ქალაქიდან და ზოგს კიდევ ბეღლში აქვს შემონახული, ამ დროს კი ქალაქში გამომცხვარი პური არ იშოვებოდა; გაიმართა მიტინგები, რომლებზედაც შავი ძალების წაქეზებით მოითხოვდენ აღმასრულებელი კომიტეტის, დროებით გუბერნატორის და გუბერნიის სასურსათო კომიტეტის შეპყრობას. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ხელად შეადგინა კომისიები ფქვილის აღმოსაჩენათ. შეიპყრეს რამდენიმე პირი, რომლებზედაც ეჭვი აიღეს საქონლის გადამალვაში. აღმასრულებელი კომიტეტის მუშათა და ჯარისკაცთა დელეგატების საბჭოს შეერთებულმა კრებამ დაადგინა თავის ხელში აიღოს სასურსათო საკითხი, გადაწყვიტა გაიგოს რამდენი პურია ქალაქში და დააწესოს კანტროლი საზოგადო და კერძო მეპურეებზე. აღმოჩნდა, რომ პური საკმარისია; შემონახული სურსათის აღმოჩენა გრძელდება. ქალაქში სიწყნარე დამყარდა.

პროგრესისტთა ჯგუფში.

პეტროგრადი. პეტროგრადში მყოფ სახელმწიფო სათათბიროს პროგრესისტებმა გადაწყვიტეს შეუერთდენ რესპუბლიკანურ დემოკრატიულ პარტიას, როგორც ავტონომიური ჯგუფი. ეს გადაწყვეტილება გადაეცა ყველა ჯგუფში მყოფ წევრებს, კითხვის საბოლოო გადაწყვეტა მოხდება პარტიის კრებაზე, რომელიც დანიშნულია მაისში.

ოფიცერთა საბჭო.

ყაზანი. ოფიცერთა დელეგატების საბჭო, თავის რეზოლიუციაში, ქედს იხრის მთავრობის ნების წინაშე, საჭიროთ რაცხს დამარცხებულ იქნას მტერი, აღდგენილ იქნას სერბია, ბელგია, რუმინია და მთლიანი პოლონეთი. ნდობას უცხადებს მთავრობას სანამ იგი პირწმინდათ და სინდისიერათ ასრულებს თავის მოვალეობას ხალხის წინაშე, საბჭო სალამს უძღვნის პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დელეგატების საბჭოს ენერგიულ მოქმედებისათვის არეულ დარეულობის წინააღმდეგ; საბჭო აღიარებს, რომ შეიარაღებული დემონსტრაციების მოწყობა ღალატია მთავრობის წინაშე. საჭიროა ერთობა და თანხმობა.

გაფიცვა.

ჰელსინგფორსი. 26 აპრილი. ტრეკანდის მამულში დაიწყო გაფიცვა მიწის მუშათა, რაც შემდეგ მერძეობის დაწესებულებებშიაც გავრცელდა. გაფიცულები მოითხოვენ რვა საათის სამუშაო დღეს, დღევანდელ პირობების გაგრძელებას 18 მაისამდე 1918 წლისა. სენატმა აირჩია კომისია გაფიცვის ლიკვიდაციის მოსახდენათ.

პოლიტეხნიკუმი თფილისში.

პეტროგრადი. 25 აპრ. სახალხო განათლების მინისტს დროებითი მთავრობაში განსახილველათ შეაქვს კანონპროექტი თფილისში მომავალ წლიდან პოლიტეხნიკუმის გახსნის შესახებ; ინსტიტუტს ექნება სამეურნეო, ქიმიური, ჰიდრო-მექანიკური და ეკონომიური ფაკულტეტები. სტუდენტებათ მიიღებიან ქალებიც.

გლეხთა მოძრაობა.

ტამბოვი. 26 აპრ. ბევრ ადგილას გლეხები მოითხოვენ სახელმწიფო ტყის მცველების გადაყენებას და უფასო საძოვარს ნახირისათვის.

პროვოკაცია.

სამარა. 25 აპრ. ს. ბოლშაია გლუშიცაში ჩავიდა თავისი თავის სალდათათ მიღარებელი ანკინი, რომელმაც შემოიკრიბა რამდენიმე ადგილობრივი ჯარისკაცი და მცხოვრებთა თავზარის დაცემის შემდეგ, გარეკა კომიტეტი.

„ვოლნა“.

ჰელსინგფორსი. რევოლიუციონური რუსული ორგანო „ვოლნა“, რომელსაც სცემს სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, იბეჭდება სენატის სტამბაში.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან გვატყობინებენ, რომ გერმანიის დამოუკიდებელ სოციალდემოკრატებს სტოკჰოლმის კონფერენციაზე დასასწრებლად დელეგატებათ აურჩევიათ ბერნშტეინი, ჰააზე გოფმანი, კაუცკი და ამხ. ქალი ცეტკინი.

სარატოვი. 5 უცნობმა სალდათმა ხვალინსკში დაატუსაღა ერობის გამგეობის თავმჯდომარე ბაუმანი, ქალაქის თავი კლიუნინი და ქალ. გამგეობის წევრი ბელიაკოვი, უნდოდათ დაეჭირათ სამხედრო საკრებულოს უფროსიც, მარა ჯარმა არ დაანება. უცნობნი თავს პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭოს წევრებს უწოდებდენ, მოქმედებდენ თავის ნებაზე და ხალხს აშინებდენ. ფიქრობენ, რომ ესენი მატყუარები არიან. მაზრაში სიწყნარეა.

მოსკოვის ქალაქის თავი და დროებითი მთავრობა.

მოსკოვი. 26 აპრილი. მოსკოვის ქალაქის თავმა ოსტროვი ქალაქის თვითმართველობის სახელით დროებით მთავრობას სრულ ნდობას უცხადებს, ყველა საზოგადოებრივ ჯგუფები, ვისაც ანარქია არ უნდა, მოვალეა დრ. მთავრ. მხარი დაუჭიროს და იგი ძალმომრეობისაგან დაიფაროს. თვითეული ჯგუფი მოვალეა დროებითი მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე შიგ შევიდეს და მისი პასუხისმგებლობა თავის იდვას. რუსეთის სახელმწიფოებრივი ღირსება მოითხოვს, რომ ომი შეთანხმების სახელმწიფოებთან ერთად ბოლომდის ვაწარმოვოთ და მით უზრუნველვყოთ ერთა თვითგამორკვევა და კულტურის განვითარება.

სამხედრო მოგების შეზღუდვა.

პეტროგრადი. 26 აპრილი. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ახალ პროექტს იმუშავებს სამხედრო მოგების შეზღუდვის შესახებ. პროექტის მიზანია მოგების მაქსიმუმი დაწესოს. მხოლოდ სახელმწიფო თავდაცვის საქმეზე მომუშავე წარმოების დარგთა ზედმეტი მოგება ხაზინას გადაეცემა.

— ფინანსთა მინისტრი უკვე ამთავრებს პროექტს მემკვიდრეობისა და ქონებაზე გადასახადების შესახებ.

არეულობა შლისელბურგის მაზრაში.

პეტროგრადი. 26 აპრილი. შლისელბურგის მაზრის კომიტეტმა თავი ავტონომიურ ერთეულათ გამოაცხადა და დროებითი მთავრობას არ ცნობს. დასახელებულ მაზრაში მდგომარეობა საშიშია იმით, რომ იქ წამლისა და ასაფეთქებელ ნივთიერების ქარხანა იმყოფება, სადაც 1000 კაცი მეტი მუშაობს. მუშ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა მღელვარების მოსასპობლათ კომიტეტის 12 წევრი გაეგზავნა მათ შორის კარლო ჩხეიძე და ბოგდანოვი.

სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტი პეტროგრადში მომხდარ ამბების გამო.

სახელმწიფო დუმის დროებითმა კომიტეტმა პეტროგრადში 20—21 აპრილს მომხდარ ამბების გამო იმსჯელა და შემდეგი დაასკვნა: 18 აპრილის ნოტის შინაარსმა მცხოვრებთა ერთ ნაწილში და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შორის გაუგებრობა გამოიწვია. ამის გამო 20 აპრილს მარინსკის სასახლის წინ, სადაც დროებითი მთავრობას სხდომა ჰქონდა, უპასუხისმგებლო პირების შეგონებით ჯარების ერთი ნაწილი გამოცხადდა. ჯარი შეიარაღებული იყო და ხელში ბაირაღები ეჭირათ შემდეგი წარწერით: „ძირს დროებითი მთავრობა“. დროებითმა მთავრობამ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად ჯარს ნოტის შინაარსის გაუგებრობა განუმარტა და ჯარიც ყაზარმაში დაბრუნდა. მიუხედავად ამისა 21 აპრილს პეტროგრადის ქუჩებზე მაინც დროებითი მთავრობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მანიფესტაციები გაიმართა, რასაც შეტაკებები მოჰყვა. დუმის დროებითმა მთავრობამ ამ მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და აღნიშნა, რომ დროებითი მთავრობა, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია სრული უფლებით უნდა იყოს აღჭურვილი, ყველამ მას დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ჯარით არავის არ შეუძლიან ისარგებლოს, გარდა დროებითი მთავრობისა და არ შეუძლიან არც ერთ პარტიასა და ჯგუფს პოლიტიკური ბრძოლისათვის ჯარით ისარგებლოს. ხალხს უფლება აქვს თავის დამოკიდებულება დროებითი მთავრობისადმი გამოხატოს წერით, სიტყვით და მშვიდობიანი მანიფესტაციებით. მარა შეიარაღებული ძალით დროებით მთავრობაზე ძალის დატანებას ადგილი არ უნდა ექნეს, რადგან ეს ახალი რევოლიუციის დასაწყისი იქნებოდა. არც ერთმა პარტიამ და ჯგუფმა ამიერიდან არ უნდა მიმართოს იარაღს, მით უმეტეს არ უნდა ისარგებლოს შეიარაღებული ჯარის ძალებით. კულტურული საშუალებები მთავრობაზე გავლენის მოსახდენათ ამაგრებს მთავრობას და ხალხთან აკავშირებს, მის პროგრამას აცნობს, იარაღით დამუქრება კი მთავრობას ხელს უშლის ნაყოფიერ მუშაობაში. დროებითი მთავრობას არ შეუძლია თავის მოვალეობის ასრულება, თუ ის სრული ძალაუფლებით არაა აღჭურვილი.

დაძმობილება ფრონტზე შეჩერდა.

მინსკი. 26 აპრ. დაძმობილება და საერთაშორისო დამოკიდებულება ფრონტზე თითქმის შეწყდა. გერმანელები ჰაეროპლანებიდან იყრიან პროკლამაციებს, რომლებშიც მოყვანილია კანცლერის სიტყვები რუსეთზე.

პეტროგრადი. ჩრდილოეთ არმიის ფრონტის მთავარსარდალი, გენერალი რუზსკი გადაყენებულია თავის თანამდებობიდან.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა მოემატოს ჯამაგირი ფოსტის და ტელეგრაფის მოხელეთ. ამის შესახებ დადგენილება მალე გამოქვეყნდება. ეს დადგენილება გამოიწვევს ხაზინის 60 მილიონის ზედმეტ ხარჯს.

პეტროგრადი. 26 აპრ. ფრონტის დელეგატების ყრილობის დასაწყისში პირველ კავკასიის მსროლელ დივიზიის წარმომადგენელმა გამოაქვეყნა შემდეგი ტელეგრამა: „ინგლისის სააგენტოს ცნობით დანიაში მცხოვრებ ებრაელებს 9 მარტს კოპენჰაგენში ჰქონდათ დაფარული კრება, სადაც გადაწყვიტეს წავიდენ რუსეთში და და წყონ პროპაგანდა ჯარში ომის წინააღმდეგ. ტელეგრამა ხელმოწერილია: „გენერალი სკალონი, მინსკი 16 აპრილი“. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, ტელეგრამა პროვოკაციულია და სურს ერთი ნაწილი მცხოვრებლებისა მეორეს შეაჯახოს, რაც ძველ მთავრობას კარგათ ქონდა შესისხორცებული. კრება ენერგიულ პროტესტს აცხადებს ამგვარი პროვოკაციული ცნობების წინააღმდეგ და მოუწოდებს საბჭოს პასუხის გებაში მისცეს ის პირნი, ვინც ასეთ დარბევის პროპაგანდას ეწევა. ამის შემდეგ დიდი სიტყვა წარმოსთქვა მიწათ მოქმედების მინისტრმა შინგარიოვმა; მან სთქვა შემდეგი: მიწის საკითხის საბოლოოთ გადაჭრა შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, ხალხის ნების გამომთქმელით, მთავრობა არ იღებს თავის-თავზე ამ კითხვის გადაწყვეტას. ამჟამად გლეხებს მიეცათ უფლება დაიმუშაონ მემამულეთა მიწები შეღავათიან პირობებში და მათთან მორიგებით. საუფლისწულო და სახელმწიფო ტყის ჩეხვა გაფართოვებულია. უმთავრესი მიწის საკითხზე მუშაობას კომიტეტი მაისში დაიწყებს, რომ მოამზადოს მასალები დამფუძნებელი კრებისთვის. დამფუძნებელი კრების მოწვევა განზრახულია სექტემბერ-ოქტომბერში. აგრარული არეულობები იყო მართალია, მაგრამ არა ისე ძლიერი, როგორც გგონიათ. გლეხთა დიდი უმრავლესობა თავს იკავებს და მზათაა დაუცადოს დამფუძნებელ კრებას. სამონასტრო, საუფლისწულო და საკაბინეტო მიწების შესახებ მსჯელობას იქონიებს სრულიად რუსეთის მიწათ-მოწყობი კაბინეტი.

ყველაზე საჭირბოროტო საკითხი არის ფურაჟის საკითხი. გასულ წელს ქერი და შვრია იყო 340 მილიონი ფუთი. არმიისთვის კი საჭიროა 390 მილიონი ფუთი. ახალ მოსავლამდის ფურაჟის გაფართოება შეუძლებელია. როცა პურის რაციონს შეეხო, მინისტრმა სთქვა: არმია იღებს დღეში 2 გირვანქა პურს, მცხოვრებნი მიიღებენ 1/2 გირვანქას. შემონახულ პურის შესახებ მინისტრმა სთქვა: გლეხებს მრავლათ აქვთ პური; საჭიროა რომ იმათ მიაცვენ პური. პურის მოტანა თანდათან ეწყობა. დეპუტატ პოსნიკოვი იმუშავებს კანონს, რომლითაც აკრძალულ იქნება მიწის მიყიდვა უცხოელზე. პირველ საჭიროების საგნებზე დაიდება გადაწყვეტილი ფასები, როგორც: რკინაზე, ტყავზე, ჩაიზე, შაქარზე, მიტკალზე და სხვა. ჩვენ მოვალე ვართ შეთანხმების სახელმწიფოებს ცოტაოდენი პური მივაწოდოთ, სამაგიეროთ იქიდან სამხარ მასალას მივიღებთ. (ტაშის ცემა).

კოალიციონური სამინისტროს საკითხი.

მოსკოვი. 26 აპრილი. მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი სთქვა კოალიციონურ სამინისტროში მონაწილეობის მიღებაზე. ამასთანავე დაადგინა საჩქაროთ მოწვეულ იქნას [illegible] მუშათა და ჯარისკაცთა [illegible] საბჭოების წარმომადგენელთა კრება. ამ კრებაზე უნდა საბოლოოთ გადასწყდეს ზევით დასახელებული საკითხი.

საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევა.

პეტროგრადი. 26 აპრილი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მოისმინა რა აღმასრულებელი კომიტეტის წინადადება საერთაშორისო სოც. კონფერენციის მოწვევის შესახებ, ერთხმათ—გარდა ბოლშევიკებისა—რომელთაც თავი დაიჭირეს, მიიღო შემდეგი: 1) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ინიციატივას ღებულობს მოიწვიოს საერთაშორისო სოც. კონფერენცია, 2) მასში მონაწილეობას მიიღებენ ინტერნაციონალური პროლეტარიატის ყველა პარტიები; 3) რომ კონფერენციაზე ყველა სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები დაესწრენ, საჭიროა ყველა სახელმწიფოების მთავრობებზე შესაფერი გავლენა იქონიონ, ხოლო უკანასკნელებმა ხელი არ შეუშალონ დასახელებულ კონფერენციაზე წამოსვლას; 4) კონფერენცია ნეიტრალურ სახელმწიფოში უნდა იქნას მოწვეული; 5) კონფერენციის მოსაწვევათ და სამოქმედო პროგრამის შესამუშავებლათ შესდგება განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც ინტერნაციონალის პარტიათა წარმომადგენლები შევლენ; 6) ყველა ხალხისა და სოციალისტური პარტიებისადმი ზავის და კონფერენციის მოწვევის გამო მოწოდება უნდა იქნას გამოშვებული; 7) კომიტეტის დელეგატები ნეიტრალურსა და შეთანხმების სახელმწიფოებში უნდა გაიგზავნონ დასახელებულ სახელმწიფოების სოციალისტებთან შეთანხმებლათ.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პარიზი. 26 აპრილი. შმენ-დე-დამის რაიონში მთელი დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა; აქ მტრის ცდამ, ჩვენ მიერ დაკავებული პოზიციები კვლავ უკან დაებრუნება, უქმათ ჩაიარა, ყოველი მათი იერიში მოვიგერიეთ და დიდ ზიანსაც ვაყენებდით. იურტების მახლობლათ გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. კალიფორნიის მაღლობებზე მტერს იერიშები მოაქვს. მათ აქ მოახერხეს დროებით ზოგიერთა პოზიციები დაეკავებიათ, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ისინი უკუ აქცია და მტრის დაკავებული ადგილები კვლავ უკან დაიბრუნა, დანარჩენ ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

პეტროგრადი. 28 აპრილი. **დასავლეთის ასპარეზზე.** სმორგანის რაიონში საარტილერიო სროლაა. ტყიან კარპატებში, კაპულის მაღლობებთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი ბრძოლაა.

რუმინიის ფრონტზე მოწინავე რაზმები იბრძვიან. გარდა ამისა მტრის ჰაეროპლანები მოქმედებენ.

პარიზი. 26 აპრილი. უაზის სამხრეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის სიმაგრეები დააზიანა. სერნი-იურტებიზეს ფრონტზე საარტილერიო სროლაა. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ და მტრის სანგრები დავიკავეთ.

ლონდონი. 26 აპრილი. საფრანგეთის ფრონტზე, სარკაკურას აღმოსავლეთით ოდნავ წინ წავიწიეთ. გაბრიელის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ, ფრენვას დასავლეთით ბრძოლის ხაზი გავასწორეთ. დანარჩენ ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.

ლონდონი. 26 აპრილი. ინგლისის საადმირალო უწყების ცნობით ერთი კვირის განმავლობაში მტრის წყალქვეშა ნავმა ინგლისის 24 დიდი გემი და 16 სათევზაო ნავი ჩაძირა.

რომი. 26 აპრილი. მთელ ფრონტზე დროგამოშვებითი საარტილერიო სროლაა. კარსოს რაიონში მოწინავე რაზმები იბრძვიან.

დეპეშა.

პეტროგრადი. (საგანგებო დეპეშა). სრულიად რუსეთის სოც. დემოკრატიული კონფერენცია დანიშნულია 6 მაისისთვის. აცნობეთ უმახლობელეს ორგანიზაციებს. გვაცნობეთ საგანგებო დეპეშით რამდენი იქნება დელეგატი.

საორგანიზაციო კომიტეტი.

ოზურგეთი. მრავალ რიცხოვანი მიტინგი სალამს უძღვნის გაზეთ „ერთობას“, როგორც ინტერნაციონალისა და სოციალიზმისთვის მედგარ მებრძოლს.

მონდობილობით ლლონტი.

ახალი ამბები

მძარცველთა დატუსაღება. ფოსტაზე თავდამსხმელები უკვე აღმოაჩინეს და დაატუსაღეს. დატუსაღებულია: ი. ა. სკვორცოვი, პ. ი. ივანოვი და ალიხადე ოღლი. გადარჩა დატუსაღებას ერთი მოხუცი, რომელიც თავდამსხმელებს სიგნალს აძლევდა. დატუსაღებულები დანაშაულობაში უკვე გამოტყდენ.

— **ოთხი ექიმის სამართალში მიცემა.** თფილისის სამხედრო-სანიტარულ კომისიას ცნობები მოუდიოდა განმანაწილებელ პუნქტში სხვადასხვა უწესოებათა შესახებ. კომისიამ

მამის გამო ორჯელ მოახდინა რევიზია. გამოირკვა, რომ პუნქტში საშინელი უწესრიგობა და უთაურობა ყოფილა გამეფებული, ექიმები თურმე საშინელ დაუდევრობას იჩენენ და ავათმყოფების მდგომარეობა სრულებით არ აწუხებდათ. რევიზიის შედეგი სამხედრო კომისიამ სალდათთა დეპუტატების საბჭოს გადასცა. უკანასკნელმა დაადგინა: სამსახურიდან დაითხოვონ და სამართალში მისცენ პუნქტის ექიმები: ვახ. ლამბაშიძე, არუთინოვი, პოტაპოვი და ეროფეევი.

◆ მუშათა დეპუტატების საბჭოს დავალებით ქაპაროვმა სიღნაღის მაზრიდან ჩამოიყვანა ათი ყაჩაღი, ე. წ. ტუს ძმები. მუშათა საბჭომ მათ იარაღი ჩამოართვა და წინადადება მისცა თუ რომელიმე მათგანს სამხედრო სამსახური მოელოდა, ეხლავ მივიდნენ სადაც ჯერ არს, დანარჩენი კი ვალდებულნი არიან მშვიდობიან მუშაობას მოკიდონ ხელი.

◆ ვინაიდან თფილისში ერთობ აიწია ბინის საკითხი და სახლების გამქირავებელთა თავგასულობას საზღვარი არა აქვს, თფილისის აღმ. კომიტეტმა დაადგინა დაარსოს ამ საქმის მოსაწესრიგებლად კომისია, რომელშიც შედიან: ი. გედევანოვი, დარჩია, აბრამიანი, ბროცკი და სხვა.

◆ თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: წინადადება მისცეს სალდათთა დეპუტატების საბჭოს, რომ მან აწარმოოს დეზერტირობასთან ბრძოლა ქალაქის საზღვრებში, მაზრაში კი თითონ კომიტეტი შეეცდება ამას. გამოცემული იქნება შესაფერი მოწოდება.

◆ **თფილისის ტრამვაის მოსამსახურეებს** უნდა გაენაწილებინათ ჯარიმის თანხა, თითეულ მოსამსახურეს ერგებოდა 5 მ. 60 კ. მოსამსახურეთ გადასწყვიტეს ეს თანხა შესწირონ საზოგადო დაწესებულებებს: მუშათა და სალდათთა საბჭოს 300 მ., თბილისის სოც. დემ. ორგანიზაციას 600 მ., თბილისის მუშათა პრესას 200 მ. და პარკის ცეხს 204 მ. სულ 1.304 მ.

◆ **შიმშილობა კახეთში.** თანახმად საგუბერნიო სასურსათო კომისარ ნ. ელიავას დავალებისა, შამოვიარეთ მაზრები სასურსათო კომიტეტების მოსაწყობად. სიღნაღის მაზრაში არჩევნები დამთავრდა. თელავის მაზრაშიც ჩქარა აირჩევენ. მაგრამ კომიტეტების არჩევნებს თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა არ მიიღო სწრაფი ზომები შიმშილის თავიდან ასაცილებლათ. ბევრ სოფლებში უკვე შიმშილობაა. კახეთის კავშირი თითო ან ნახევარ ვაგონს ძლივს აწვდის ამხანაგობას, საიდანაც თითეულ წევრს ნახევარი ფუთი ძლივს ხვდება, ტირილს და გოდებას ყოველ ნაბიჯზე წააწყდები, სჭამენ ყოვლათ უვარგის სიმინდის ფქვილს. ზომები საჩქაროთ არის საჭირო.

◆ **მომხ. ხაზ. „ალორძინების“** მოსამსახურეებმა თავიანთ მორიგ კრებაზე, სხვათა შორის დაადგინეს: შეწირონ მარტის მომატებული ჯამაგირი შემდეგ საზოგადოებებს: მუშათა და სალდათთა საბჭოებს—200 მან., რევოლიუციის მსხვერპლთა ოჯახებს—80 მანეთი, პირველი მაისის ფონდს—80 მ., პრესის დღეს გაზ. „ერთობას“ 50 მან., პოლიტიკურ გადმოსახლებულებს—70 მან., ნაძალადევის სახალხო სახლის ფონდს—20 მან. სულ 500 მანეთი, რომელიც უკვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

◆ როგორც გავიგეთ ვ. რუხაძე უარს აცხადებს „ხმის“ რედაქტორობაზე მოცლელობის გამო. რედაქტორათ რჩება მხოლოდ ვ. წერეთელი.

◆ **ს. ხაშმში** ყულქრავება მძვინვარებს. აღმასრულებელი კომიტეტი ეძებს ფერშალს, რომელსაც მიეცემა შესაფერი სასყიდელი.

◆ **ქარხანა „კომეტის“** მუშებმა მუშათა დეპუტატების საბჭოს წითელი ლიტერატურის შესაძენად გადასცა 200 მანეთი, თითონ საბჭოს საჭიროებათა სასარგებლოთ კი 133 მან. და 35 კ.

◆ ნიკო ყარამანის ძე თიკანაძე ფოთელ მუშების სახელით გულითად მწუხარებას გამოსთქვამს მუშათა საქმისთვის თავდადებულ ამხანაგის პავლე ვასაძის უდროოდ დაკარგვის გამო. თანაც რედაქციის ფონდისთვის გზავნის 5 მ. 80 კ., რომელიც შეგროვილიყო განსვენებულ ვასაძის საფლავზე გვირგვინის დასადებათ.

◆ **ორშაბათს,** 8 მაისს ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ოქტავ მირბოს რევოლიუციონური პიესა ჟან და მადლენა. ეს პიესა ძველი მთავრობისაგან აკრძალული იყო. პიესაში საუკეთესო ძალები იღებენ მონაწილეობას. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში, დასი უკანასკნელ წარმოდგენას სახალხო სახლში გამართავს 15 მაისს.

◆ **საბურთალოზე,** კომიტეტის დადგენილებით დაიკეტა ორი სავაჭრო სახლი ნომრები სამსონ ხარიბეგოვისა და ალექსანდრე ბარინოვისა, რადგანაც მცხოვრებლებში იწვევდა უკმაყოფილებას, როგორც საროსკიპო ადგილი.

◆ **საბურთალოს** აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ყველა ჩამორთმეული მაგარი სასმელები, რომელიც იმყოფება კომიტეტის განკარგულებაში გადაეცემა მეორე ნომრის ლაზარეთს, თანახმად გაზეთების განცხადების, ავათმყოფებისთვის.

◆ საბურთალოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დააჯარიმა შემდეგი პირნი: 1) თეთრი დუქნის პატრონი სერგო გოზალოვი ათი თუმნით, მაგარი სასმელების გაყიდვისთვის; 2) გიორგი ლეჟავა 25 მანეთით მაგარი სასმელების გაყიდვისათვის.

◆ ალავერდი გუსეინ ოგლი და ასკარ ალავერდი ოგლი ათ-ათი მანეთით ნიხრზე ზეით ხორცის გაყიდვისთვის, ამასთანავე მათ ჩამოერთვათ 18 გირვანქა ცხვრის ხორცი, იყო გაყიდული ედემის ბაღისთვის ნიხრზე ზევით, მაშინ როდესაც საბურთალოს მცხოვრებლებს გირვანქა ხორცი ენატრებოდათ. ჩამორთმეული ხორცი გაიყიდა საბურთალოს მცხოვრებლებზე ორ-ორი გირვანქა. ფული კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა.

◆ 24 აპრილს, საღამოთი, საბურთალოზე ბორანის ახლოს ალექსი მატრიაშენკა სიმთვრალის დროს ჩასცა ჯიბის დანა მარცხენა გვერდში ნიკოლოზ ისაიკინს, რომელიც მძიმეთ დაიჭრა. დაჭრილი მიხაილოვის საავადმყოფოში იქნა გაგზავნილი. გამოძიება სწარმოებს.

◆ მთავარ სახელოსნოს მუშებმა ჯარისკაცებს გამოუწერეს ორი გაზეთი.

◆ დამეკარგა პასპორტი უვადო და უბის წიგნი. მპოვნელისთვის სასარგებლო არ არის ვთხოვ გამომიგზავნოს ამ მისამართით: Супса учителю Пачуашвили.

◆ „ჯარებისთვის გაზეთის მიმწოდებელი ბიურო“, რომელიც არსებობს სალდათთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, 22 მაისს გამართავს „გაზეთის დღეს“. შემოსავალი მოხმარდება ჯარში გასაგზავნ წიგნებისა და გაზეთების შეძენას.

◆ **იპოვნეს** საანგარიშო წიგნაკი დარია იოს. შარაშიძისა. პატრონმა ჩვენს რედაქციაში მოიკითხოს.

◆ **მისაბაძი მაგალითი.** გიგო პავლეს ძე მანჭარაძემ ნახევარი წლით ორი გაზეთი გაუწერა ჯარისკაცებს კავკასიის ფრონტზე.

— ბარბარე ზურაბის ასულმა მღვდლაძემ ორი გაზეთი გაუწერა ჯარისკაცებს.

კრებები და მიტინგები.

თანახმად ნაძალადევის პირველი რაიონის ს. დ. კოლექტივის დადგენილებისა ხვალ, 30 აპრილს, ნაძალადევსა და დიდუბეში ნაშუადღევის 4 საათზე გაიმართება მიტინგები დღევანდელ საჭირბოროტო კითხვების გამოსარკვევათ.

— კვირას, 30 აპრილს, ვერაზე სომხის ეკლესიის ეზოში (უდილნი ქუჩის ზევით) შესდგება სამოსწავლო წლის თავზე ადგილობრივ მოწაფე სოციალდემოკრატთა წრეების საერთო კრება. წაკითხულ იქნება რეფერატი შემდეგ თემაზე: „სოციალიზმი და სოციალისტური პარტიები“. შემდეგ გამგეობის მოხსენება. ვთხოვთ წრის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ.

— ხვალ, 30 აპრილს, ქალაქის სამმართველოს დარბაზში, საღამოს 6 საათზე ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა იწვევს საერთო კრებას. გამგეობა თხოვს კავშირის წევრებს დააინტერესონ თავიანთი ამხანაგებიც და მოიყვანონ კავშირში ჩასაწერათ.

— 4 მაისს საღამოს 6 ნახ. საათზე დანიშნულია საზოგადო კრება ამიერ კავკასიის დიაკონ-მედავითნეთა კავშირის წარმომადგენელთა. თფილისის კავშირი იწვევს ყველა წარმომადგენელთ უეჭველად დაესწრონ ამ კრებაზე ფრიად საყურადღებო საკითხების განსახილველად.

— 29 აპრილს საღამოს 7 ს. პირველ სავაჟო გიმნაზიის შენობაში შესდგება თფილისის პირველ დაწყებითი ყველა ტიპების მასწავლებელთა საერთო კრება. განსახილველი საგნები: 1) მასწავლებელთა კავშირის თფილისის ფილიალურ განყოფილების სარევიზიო კომისიისა და კანდიდატების არჩევნები; 2) რაგვარ სამუშაოს უნდა მოჰკიდონ ხელი სახალხო მასწავლებლებმა მეცადინეობის შეწყვეტის შემდეგ; 3) როგორ განხორციელდეს ახლო მომავალში ნაციონალური სკოლა.

— გუშინ გაიხსნა კავკასიის ფრონტის წითელი ჯვრის ექიმთა და მოსამსახურეთა სიეზდი.

— გუშინ დაიწყო ამიერ კავკასიის სასურსათო კომიტეტის ყრილობა. თფილისის აღმასრულებელ კომიტეტისაგან ყრილობას დაესწრება ვ. გელოვანი.

— ღვინის სარდაფებში მომუშავეთა ყველა ამხანაგი აუცილებლად უნდა გამოცხადდეს კვირას, 30 აპრილს დილის 8 საათზე ავლაბარში კახეთის მოედანზე. მოგროვდით და თქვენს საქმეს თქვენვე მიხედეთ.

პროვინციის ქრონიკა.

დ. ბორჯომი. 23 აპრილს მოხდა ბორჯომში აღმასრულებელი კომიტეტის ხელ-ახალი არჩევნები. აირჩიეს თითქმის ყველა ძველები, გადააყენეს ორი წევრი: ექიმი ჟუკოვი და ფოსტის განყოფილების უფროსი კ. ჯაფარიძე. ამ არჩევნებითაც უკმაყოფილოა მოქალაქეები და ეს იმიტომ, რომ მუშები და ხელოსნები, რომელთა რიცხვი ბლომადაა აქ, მეტად მცირე მონაწილეობას ღებულობენ საზოგადო საქმეებში.

სოფ. მეტეხი (გორის მაზრა). კვირას 9 აპრილს მეტეხში გაიმართა კრება, რომლის მიზანი იყო გლეხთა საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა. კრებას აუხსნეს საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტის მნიშვნელობა. საბჭოში არჩეულ იქნა 15 გლეხი. აღმასრულებელ კომიტეტში ხუთი. ქალებმაც მოისურვეს საბჭოში თავის წარმომადგენელი ყოლოდათ, მაგრამ გვიან იყო.

სოფ. ხაზირეთი. (გორის მაზრა). მოხდა დიდი კრება, რასაც 200 კაცი და ქალი დაესწრო. ხელმძღვანელმა აუხსნა თანამედროვე მდგომარეობა. შემდეგ არჩეულ იქმნა შვიდი კაცისაგან შემდგარი გლეხთა საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი. ამ არჩევნებში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას.

რედაქციისაგან.

ვთხოვთ თფილისის ყველა რაიონულ ს.-დ. ორგანიზაციებს აირჩიონ პასუხისმგებელი კორესპონდენტები, რომელთა მოვალეობა იქნება გაზეთისთვის ყოველდღიურ უტყუარ ცნობების მიწოდება რაიონში მომხდარ კრებების, მუშათა და პარტიათა ცხოვრების და სხვა პოლიტიკურ საკითხების შესახებ.

ასეთივე კორესპონდენტების არჩევას სთხოვს რედაქცია პროვინციელ ს.-დ. ორგანიზაციებს ადგილობრივი ცნობების მოსაწოდებლათ.

კორესპონდენტის ვინაობა და ადრესი დაუყონებლივ უნდა ეცნობოს რედაქციას.

ძ. ხოჯ-ბულახი. (სპარსეთი). აქ გაიმართა მიტინგი, რომელთაც დაესწრენ მთელი გარნიზონის ოფიცრები და სალდათები, მიტინგზე ილაპარაკა თფილისიდან ჩამოსულმა დელეგატმა ნიკურაძემ. თავის სიტყვაში მან მოითხოვა ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ, რაც ხალხმა მოიწონა.

ქვემო ჭალის საზოგადოება. (გორის მაზრა). პირველი კრება აქ გაიმართა მღვდლისა და თავად აზნაურობის მეთაურობით, რომლებიც ითხოვდენ დასტოვონ თავის ადგილზე ბოქაული და სტრაჟნიკები. მაგრამ ხალხი მათ არ ეთანხმება და მათ სცვლის.

ს. საცხენისი. (თფილ. მაზ.). დეზერტირები ერთობ თავგასულად იქცევიან. ამას წინათ მწყემს სცემეს და ნახირი სულ გაფანტეს, რამდენიმე სული საქონელი დაიკარგა და დღემდისაც ვერ უპოვიათ. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია გლეხთა დეპუტატების საბჭომ. თავაშვებულ დეზერტირებს წინადადება მისცა ისე მოიქცნენ, როგორც ამას დღევანდელი საერთო მდგომარეობა მოითხოვს მათგან, ცუდკაცობას თავი დაანებონ და ჯარში დაბრუნდნენ.

თიანეთიდან გვატყობინებენ: სამაზრო კომიტეტმა არაჩვეულებრივ კრებაზე მაზრის კომისარი იარამაშვილი თანამდებობიდან გადააყენა.

პანკისიდან (თუშეთი) გვატყობინებენ, რომ ქისტებსა და ოსებს შორის უთანხმოება ყოფილა; ზოგიერთი პროვოკატორები ცდილობენ წაკიდონ ისინი ერთმანეთს. 16 აპრილს გაიმართა პანკისის ხეობაში სახალხო ყრილობა, რომელმაც მთელი დღეს გასტანა პროპაგანდა აგიტაციამ გაჭრა და დროებით სიწყნარე ჩამოვარდა. მეორე დღეს გამოცხადდენ ზოგიერთი ყაჩაღები, მათ შორის ცნობილი ყაჩაღი ქისტი; მათ სურვილი გამოსთქვეს ჯარში წავიდნენ.

მატანიდან. (თიანეთის მაზ.) გვწერენ 11 აპრილს გაიმართა მიტინგი, რომელზედაც დაესწრენ თფილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულები. ვინაიდან გლეხები ძველი საბჭოს მუშაობით და შემადგენლობით ძლიერ უკმაყოფილონი იყვნენ, ისინი გადააყენეს და ახლები აირჩიეს. ძველში მოკალათებული იყვნენ ნაციონალისტები და თავადები.

— ასეთივე ამბავი მოხდა ს. ახმეტაშიც.

მუხა-ურუის საზოგადოება. (ქუთ. მაზ.), სოფ. გომში (მუხაურუს საზოგ.) გაიხსნა უფასო სამკითხველო აკაკის სახელობაზე, სამკითხველოს თავმჯდომარეთ არჩეულია მ. ზაქრაძე. მოთვალყურეთ ი. ზაქრაძე.

მეჯვრისხევის რაიონი. (გორის მაზ.). ხსენებულ რაიონში არა ერთხელ იქმნა მოწყობილი გლეხთა დეპუტატების საბჭოები, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში სასურველ ნიადაგზე არ იყო დაყენებული. ბოლოს როგორც იქნა საქმე გამოიჩარხა. ეს რაიონი დაყო რვა ნაწილად და შეადგინა გლეხთა დეპუტატების რვა საბჭო, თავისი აღმასრულებელი კომიტეტებით. საბჭოები მოეწყო შემდეგ საზოგადოებებში: მეჯვრისხევში (33 სოფელია), ბერშუეთში (8 სოფ.), ხელთუბანში (7 სოფ.), კარალეთში (4 სოფ.), ზერტში (3 სოფ.), ტყვიავში (6 სოფ.), მერეთში (9 სოფ.), და ვილდოში (9 სოფ.)

— ყველა აღმასრულებელი კომიტეტებთ ნ არიან ამორჩეული სანდო მილიციონერები, რომელთა საერთო რიცხვი არ აღემატება 20. რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კომისარათ მოიწვია ილ. რუხაძე.

რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა დელეგატების სიეზდი.

25 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ივ. ზურაბოვი. პირველად მოხსენებას აკეთებს სამხნია რკინის გზაზე მოძრაობის მოწესრიგების შესახებ. მოხსენებაში ნაჩვენებია სხვადასხვა ნაკლი რკინის გზის მოძრაობის, აღნიშნულია, რომ არ არის საკმარისი ორთქმავლები, არ არის მოწყობილი შესაფერისათ გზა და სხვა ტეხნიკური ნაკლი რკინის გზაზე არსებული.

ის. მალანია უპასუხებს მომხსენებელს, რომ ყველა ნაკლი, მოხსენებაში ნაჩვენები მართალია, უკვე ცნობილია, რომ არ არის საკმაო რიცხვი ორთქმავლებისა, არ არის რელსები ლიანდაგისთვის და სხვა, მაგრამ ეს უწესრიგობა, ეს უქონლობა შედეგია ძველი წესწყობილების და მართველობის გამგეობისა. ეხლა კი, როგორც ადგილობრივ აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტების უპირველესი მოვალეობათაგანია რკინის გზაზე ჯეროვანი წესრიგის დამყარება და მოძრაობის მოწესრიგება, ეს კომიტეტების ფუნქციებში, რომელიც სიეზდმა უკვე მიიღო და დაამტკიცა, პირველი მუხლთაგანია.

კრება კმაყოფილდება ამ განმარტებით და გადადის შემდეგ კითხვებზე.

კუპრაშვილი წინადადებას აძლევს კრებას მხედველობაში მიიღონ რკინის გზის „სტრაჟნიკთა“ ცოლშვილის უმწეო მდგომარეობა, სიეზდმა დაადგინა, რომ „სტრაჟა“ მოიხსნას და პოზიციაზე იქნას სალდათათ გაგზავნილი, ამრიგათ ცოლშვილი მათი უმწეოთ რჩება და საჭიროა მათი ყურადღების მიქცევა.

ი. მეგრელიშვილი განმარტავს, რომ ვისაც სალდათათ გაიწვევენ, იმათი ცოლშვილი ისარგებლებს საერთოთ ჯარში გაწვეულთა ოჯახების უფლებით და ამით დაკმაყოფილდებიან. ვინც სასალდათო არ არის, სხვა ადგილსა და საქმეს მოსძებნიან. ყოველ შემთხვევაში სიეზდი და ვერც რკინის გზა განსაკუთრებულს ზრუნვას ვერ შეუდგება მათ შესახებ. ამის შემდეგ ზურაბოვი განმარტავს, რომ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული დღის წესრიგში შეტანილი კითხვები გარკვეულია. არის დამატებით სიაში 35-მდის კითხვა დასმული. მრავალი იმათგანი უკვე მიღებულმა და გამორკვეულმა კითხვებმა მოხსნა თავის თავათ. რაც დარჩა გამოურკვეველი იმ კითხვების შესახებ წინადადებას აძლევს კრებას მიენდოს გამოკვლევა და სისრულეში მოყვანა მომავალ აღმასრულებელ კომიტეტს და კრება არჩევნებს შეუდგეს. კრებამ მიიღო ეს წინადადება და გადავიდა არჩევნების საკითხზე.

პ. წულაია ვრცელ სიტყვას ამბობს არჩევნების შესახებ. ის განმარტავს მომავალი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მნიშვნელობას მთელი რკინის გზისთვის.

კომიტეტი არის უპარტიო ორგანო, ამიტომ ერთმა ჯგუფმა ამხანაგებისამ გამოიმუშავა კანდიდატთა სია და ამ სიაში შეტანილია ყველა ნაციის წარმომადგენლები.

მართალია სიაში უმეტესობა მუშებია შეტანილი, მაგრამ ეს საქმისთვის უფრო სასარგებლოა და არა საზარალო, რადგანაც რკინის გზის მუშათა შორის მუშები უფრო მეტი ნდობით სარგებლობენ ვინემ სხვა ვინმეო.

მართალია, ამბობს იგი, სიაში არ არის შეტანილი ზოგიერთი პირები, რომლებიც თვალსაჩინო ძალას წარმოადგენენ ადგილობრივ კომიტეტებში ლიანდაგზე, მაგრამ ეს იმ მოსაზრებით, რომ ადგილობრივ კომიტეტებშიაც ფრიად საჭიროა ესა თუ ის გავლენიანი და საიმედო ელემენტი, რომლის იქიდან მოშორებაც მეტის მეტათ შეაფერხებდა ადგილობრივ მუშაობას. ამის შემდეგ ის კითხულობს კანდიდატთა სიას, რომელიც ამხანაგთა ერთმა ჯგუფმა გამოიმუშავა.

სიაში შეტანილია წარმომადგენლები ყველა რაიონებიდან, სახელდობრ: 3 ბათუმის მხრიდგან, 4 ბაქოს მხრიდგან, 6 ყარსის მხრიდგან და 12 თფილისიდან, ესე იგი თფილისის დეპოს, სახელოსნოს, სადგურისა და სამმართველოსაგან. რამდენიმე წევრი მოითხოვს კანდიდატები წარმოყენებულ იქნას მუშათა და მოსამსახურეთა ჯგუფებიდან ცალცალკე, მაგრამ კრებამ უარყო ეს წინადადება და დაადგინა: კანდიდატები დასახელებულ იქნას რაიონებიდან, კენჭის ყრა მოხდეს ფარული, ბარათებით და არჩეულ იქნას 25 კაცი ცენტრალურ კომიტეტისთვის, რომელიც დაიყოფა სხვა და სხვა კომისიებათ, როგორც ეს წინად გვქონდა მოხსენებული.

წამოაყენეს კანდიდატები სხვა და სხვა სიით, სხვა და სხვა ჯგუფებისაგან. შეიმუშავეს საერთო სია და შეუდგნენ კენჭის ყრას.

ფარული კენჭის ყრის შემდეგ არჩეულნი აღმოჩნდნენ დიდი ხმის უმეტესობით შემდეგი პირები: 1) ივ. ზურაბოვი, 2) ის. მალანია, 3) ალ. რიკაძე, 4) პავ. წულაია, 5) ერ. დიდიძე, 6) როოტი, 7) ჩერნიკოვი, 8) ვიქ. ნინიძე, 9) სიდ. დოლიძე, 10) ინჟინერი კანდელაკი, 11) იოს. მეგრელიშვილი, 12) დ. ათაბეგი, 13) გოლუშკო, 14) ს. თავდიშვილი, 15) ინჟინერი ფირუმოვი, 16) ძიძიგური, 17) ბერძენიშვილი, 18) ხარატიშვილი, 19) კანდელაკი (მასწავლებელი), 20) ტკაჩენკო, 21) ლოპატკო, 22) გ. ჟურული, 23) მშვიდობაძე, 24) ოდილავაძე, 25) მამედალი ჯამბარ-ოღლი.

25 აპრილს საღამოს 5 საათზე სიეზდი დაიხურა.

საყურადღებო და სიამოვნებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიეზდზე საერთო პოლიტიკურ კითხვების შესახებ ყველა კითხვებზე მიღებულ იქნა ის რეზოლიუციები, რომელიც გამოტანილი იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სიეზდებზე თფილისში და პეტროგრადში. ამით დამტკიცდა, რომ რკინის გზის მუშები და მოსამსახურენიც ჯართან და სხვა დარგის მუშებთან ერთად გაჟღენთილი არიან ერთის მიზნით, რაიც უკარნახებს მათ ტაქტიკური და მოფიქრებული წინდახედულის ნაბიჯით და შეერთებულის მუშაობით ხელი შეუწყონ რევოლიუციის გაღრმავებას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. აგრეთვე სიეზდმა მრავალი მნიშვნელოვანი კითხვები გამოარკვია და გადასწყვიტა, რასაც მნიშვნელობა აქვს რკინის გზის ცხოვრებაში. მართალია საბოლოოდ დადგენილებების სისრულეში მოყვანა და მოწესრიგება უმთავრესათ ცენტრალურ კომიტეტზეა დამოკიდებული, რომელსაც დიდი მუშაობა და მუყაითობა მართებს, მაგრამ სიეზდმა საერთო გამორკვეული სამოქმედო გეგმა და გზა გაუკვლია ამა თუ იმ კითხვაზე კომიტეტს.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ არჩევნებში სრული გამარჯვება სოციალდემოკრატებს დარჩათ.

სალამი ახლად არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტს, ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას, რათა რკინის გზის მდგომარეობა, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს და რომელიც ძველი მართვა-გამგეობისაგან სრულს უვარგისობამდე იქნა მიყვანილი, ახალ დონეზე დამდგარიყოს. ვუსურვებთ არჩეულ კომიტეტს ნაყოფიერი მუშაობით განხორციელების სიეზდის დადგენილება. **ნ.**

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

წითელმთა (გურია).

21 აპრილს შესდგა ადგილობრივ სოც.-დემოკრ. წევრების კრება. მიღებულ იქნა ახალი 24 კაცი. ხოლო რამოდენიმე პირების შესახებ ახლო მომავალში იქნება ლაპარაკი. კრებამ გადასწყვიტა ხელი შეუწყოს ქალთა წრის დაარსებას შემოქმედში—და განსაკუთრებით წითელ მთაში, რომელიც გამოყოფილი უნდა იყოს კერძოთ, როგორც ცალკე უბანი. შევიძინოთ 100 მ. უკვე მოგროვილი ფულით დროშა. რეფერატების და პროგრამულ საკითხების გაცნობის შესახებ კრება მოხდება ამ ახლო მომავალში.

ანდრია შილ—ძე.

დ. ხონი.

21 აპრილს მოხდა პარტიული ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. აირჩიეს კოლექტივი ხუთი კაცისაგან შემდგარი.

— ხონის ს. დ. ორგანიზაციას განზრახვა აქვს მოაწყოს ზაფხულში სისტემატიური მეცადინეობა—ლექციები ამხანაგების გასათვითცნობიერებლათ.

— დაარსდა მარქსისტ ქალთა ორგანიზაცია. მას სიცხოველე და საქმიანობის უნარი ეტყობა. ვუსურვებთ წინ მსვლელობას.

— ხონის მარქსისტ მოწაფეთა კოლექტივის ხელმძღვანელობით ადგილობრივ მოწაფეთა ორგანიზაცია გამართავს ახლო მომავალში კ. მარქსის საღამოს.

ერზერუმი.

6 აპრილს მოხდა სოციალდემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ კრებამ აირჩია ამხ. ვლადიმერ ბურჭულაძე, მდივნათ ა. რევია. თავმჯდომარე მოკლე სიტყვით განმარტავს დღევანდელ მომენტს და მოუწოდებს ამხანაგებს შეკავშირებისაკენ იმ ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ, რომლის მედგარი დარაჯი სოციალდემოკრატია. ამ დროს კრებაზე მოდის ამხანაგების მიერ საგანგებოთ მოწვეული ამ. პრაპორ. ლევან ჟღენტი, მის მოსვლას კრება ტაშის ცემით ეგებება. მისალმების შემდეგ ის ლაპარაკობს. ორატორის სიტყვებს კრება აღტაცებაში მოყავს და მას ტაშის ცემით აჯილდოვებენ. თავმჯდომარის წინადადებით ირჩევენ დროებით ხელმძღვანელ კომიტეტს. აირჩიეს თავმჯდომარეთ ამხ. ლ. ჟღენტი, მდივნათ სალდათი კორკინი, მოლარეთ კალანდაძე, წევრებათ: ნ. ჩიტაია, ე. ბარაბაძე, ვლ. ბურჭულაძე, ა. რევია, ს. საფაროვი, პრაპორ. მგელაძე სალ. ფ. თავზარიძე და ნილოვი.

მეორე კრება იმართება 11 აპრილს ამხ. ლ. ჟღენტის თავმჯდომარეობით, განსახილველი კითხვებია: 1) ახალი წევრების მიღება, 2) ორგანიზაციის სახსარი, საწევრო გადასახადი, 3) ბინა მუშათა კლუბისათვის, 4) ლიტერატურა, ახალ წევრების მიღების შესახებ დადგენილ იქნა: მიღებულ იქნას ახალი წევრები პარტიაში რეკომენდაციით რამდენათაც ეს მოსახერხებელი იქნება. საწევრო გადასახადი შესავალი, სურვილისამებრ, თვიური 1 მან. 5 მანეთამდი, სალდათები იხდიან სურვილისამებრ. ბინის კლუბისთვის გამონახვა მიენდო კომიტეტს, და აგრეთვე დადგენილ იქნა გამოიწერონ პარტიის პროგრამები ქართულ და რუსულ ენაზე, და შემდეგი გაზეთები: „Русское слово“, Правда“, „Совѣтъ солдат. раб. депут.“, „Кавказскій рабочій“, „Рабочая газета“, „Соціалдемократъ“, „Рѣч.“, „Кавк. слово“, „ერთობა“, „ფაიქარი“, და „პირველი ნაბიჯი“. დასასრულ ამხ. ლ. ჟღენტის წინადადებით კრება სალამს უძღვნის დეპეშით პეტროგრადში რუსეთის პროლეტარიატის გმირებს პლეხანოვს და კარლო ჩხეიძეს. და თფილისში კავკასიის სოციალდემოკრატიის ბელადს ჩვენ სიამაყეს ნოე ჟორდანიას. კრება იხურება ღამის 1 საათზე, კრების უმეტესობა ქართველი მუშებისაგან შესდგებოდა.

ვლ. ლაშხიშვილი.

მოსე ნინიძის გარდაცვალების გამო.

დეპეშები.

სოხუმი. თვალცრემლიანნი დავსტირით მედგარი მებრძოლის მოსეს დაკარგვას. ვიზიარებთ ამხანაგებისა და ნათესავების მწუხარებას.

ა. კვაჭაძე, ი. ლომინაძე.

ახალსენაკი. დიდი დანაკლისია მოსე ნინიძის დაკარგვა. არ დასცალდა თავისუფლებით დატკბობა. ვიზიარებთ ამხანაგების გლოვას.

სენაკის სამაზრო ს.-დ. ორგანიზაცია.

ფოთილები.

ღრმათ დაგვამწუხრა ძვირფას ამხანაგ მოსე ნინიძის უდროოთ გარდაცვალებამ. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია მუშათა კლასისათვის. მუხლს ვიდრეკთ მისი ხსოვნის წინაშე და ვიზიარებთ მისი ნათესავებისა და ამხანაგების მწუხარებას.

კლიმენტი და ერმოკრატი თალაკვაძეები.

გამოუთქმელი მწუხარება მოგვაყენა ძვირფასი ამხანაგის მოსე ნინიძის უდროვოთ გარდაცვალებამ. ისეთ სპეტაკ ზნეობის ადამიანს, როგორიც მოსე იყო, ადვილათ ვერ დავივიწყებთ.

ნესტორ კიკალიშვილი, ლიპა და იასონ ხანაძე.

მოსე იწოდა და დაიწვა სახალხო საქმის სამსახურში. ქება და დიდება უანგარო მუშაკის ხსოვნას. **ს. ცხომელიძე.**

ბათუმი. ძლიერ დაგვალონა ამხ. მოსე ნინიძის გარდაცვალებამ.

მოწაფეები: **გერმანე კვაჭაძე, ზაქრო ინწკირველი, სამსონ სალუქვაძე და იოსებ ძნელაძე.**

დიდათ დაგვამწუხრა მოსე ნინიძის უდროვოთ გარდაცვალებამ. ამხანაგების მწუხარებას ვუერთდებით ჩვენ მწუხარებასაც. მისი ხსოვნა დაუვიწყარი დარჩება ჩვენს გულში.

დასელი მოწ. **აკ. კალაძე, ალ. პაპავა და ედ. პაპავა.**

ღრმათ დამამწუხრა მშრომელი ხალხის ინტერესების სახელოვანი დამცველის მოსე ნინიძის უდროოთ დაკარგვამ. მისი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ჩვენში. მისი ხსოვნის აღსანიშნავათ ვსწირავ გაზეთ „ერთობას“ 8 მანეთს. **ელისაბედ სალუქვაძე.**

მაშინ, როდესაც მთელი რუსეთის პროლეტარიატი დიად თავისუფლებით სტკბება, ხელიდან გამოგვეცალა საუკეთესო ამხანაგი მ. ნ-ნ-ძე, მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია მუშათა კლასისთვის.

ამხანაგების დავალებით **ნ. გერგესელი.**

მუშათა ცხოვრება.

„სახელოსნო“ კლუბი პროფესიონალურ კავშირის წინაალმდეგ! ერთი კვირაა, რაც პროფესიონალურ კავშირმა თანახმად საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა შეიმუშავა მოთხოვნილებები და წარუდგინა კლუბების, სასტუმროების და სხ. დაწესებულებათა პატრონებს. ძველი დახავსებული მდგომარეობა იმოდენათ შესისხლხორცებული აქვთ ბ. პატრონებს, რომ მიუხედავათ დღევანდელი მომენტისა არავითარ ანგარიშს არ უწევენ ორგანიზაციულად მუშების გამოსვლას. იმ დროს, როცა ბიუროკრატიულმა კლუბმა მიიწვია წარმომადგენლები და შეუცვლელათ კამისიამ მამასახლისების და კავშირის მხრივ სრულიად მიიღეს მოთხოვნილებები, იმ დროს, როცა სხვა დაწესებულებები როგორიც არის არტისტიული კლუბი და სხ. მოლაპარაკების შემდეგ აკმაყოფილებს სამართლიან მოთხოვნილებას, სახელოსნო კლუბის წარმომადგენელი ადგენს: არავითარი მოთხოვნილება მოსამსახურების არ დავაკმაყოფილოთ და ამავე დროს ხელის კვრით ქუჩაში ისტუმრებენ მუშებს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მესამეთ არის, რაც სახელოსნო (ремесленный клубъ) კლუბი კავშირის გადაწყვეტილებას წინ ეღობება. მიუხედავათ იმისა, რომ კავშირის გამგეობის სიმპატია მისკენ იყო მეტი მიქცეული, რადგანაც ის „რემესლენიკების“ ეგონათ. დღეს მათმა წარმომადგენლებმა ჩვენში ეს სიმპატია დაჰკარგა. ჩვენ—გამგეობა უკანასკნელ სიტყვას და მოქმედებას ვკუთნებთ მოხელეებს, დარწმუნებული ვართ მოიწვევენ დაჩქარებით საზოგადო კრებას და შემთხვევით სათავეში მოკალათებულ ბატონებს თავიანთი ანტისაზოგადო მოქმედებისათვის მაჯავრს დასდებენ, მოიწვევენ წარმომადგენლებს, როგორც კავშირისგან, ისე აღმასრულებელ კომიტეტისაგან და სინამდვილით განიხილავენ მოთხოვნილებებს. წინაადმდეგ შემთხვევაში უკანასკნელი სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის. **გამგეობა.**

თფილისი. 16 აპრილს ქალაქის პარკში შედგა ყველა მებაღე-მუშათა საზოგადო კრება.

კრების მიზანი იყო 1) ბაღების მუშათა პროფ. კავშ. წესდების მუხლობრივი განხილვა და მიღება, 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ კრება შეუდგა კავშირის წესდების მუხლებრივ განხილვას და შესაფერის შესწორებების შემდეგ მიიღო იგი. გამგეობაში აირჩიეს: ნ. აირაპეტოვი, რ. ღლანიძე, პ. კორინთელი, გ. ცხოვრებაშვილი, ქ. ქუჩაიძე, ე. კაკაურიძე, პ. ადამია, ქ. ჩხენკელი და თ. ქელიძე. სარევიზიო კომისიაში: ი. სანაძე, ა. დულაიტისი და ოსტერლოფი.

ამავე კრებაზე კავშირში ჩაეწერა 70 მუშა. ამნაირათ ჩაეყარა საფუძველი ახალ პროფეს. კავშირს. შემდეგი კრება დანიშნულია კვირას, 30 აპრილს, ორთაჭალაში, ხიდთან მუშ. საპჰოში გასაგზავნ დეპუტატის ასარჩევათ. **ვიქტ. ბაჯელი.**

საჩხერე. აუწერელია საჩხერის ნოქარ-შეგირდების მდგომარეობა. იმ დროს, როდესაც ამ დარგის მუშები სხვადასხვა ქალაქ-დაბებში კავშირს აარსებენ და საერთო ძალ-ღონით თავიანთ მდგომარეობას იუმჯობესებენ, საჩხერის ნოქარ-შეგირდები სიღათას ძილს მისცემიან და სრულიადაც არ ზრუნავენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. რაც შეეხება ნორმალურ დასვენებას, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია; ისინი დილის 6 საათ.—სად. 12 საათამდის განუწყვეტლივ მუშაობენ. მათ არც კვირა უქმეებში აქვთ შესვენება. თვით პირველ მაისის დღესასწაულსაც კი ვერ დაესწრო ბევრი მათგანი, რადგან ხაზეინები ჩაკეტილ დუქანში ამუშავებდენ შეგირდებს; ნოქრები კი დაკეტილ დუქნის კარებზე იყვნენ მიყუდებულნი და მონურათ ემორჩილებოდენ ხაზეინის განკარგულებას. ყველაფერი ეს შეუკავშირებლობის ბრალია, რითაც რასაკვირველია ხაზეინები კმაყოფილნი არიან და ნოქარ-შეგირდებს ტყავს აძრობენ. **შ. ხვადაბუნელი.**

კახეთის რკინის გზა. საერთო აღფრთოვანებას და მოძრაობას არც კახეთის რკინის გზის მუშები ჩამორჩენილა. საჩქაროთ მოხდა კრებები, ამოირჩიეს ადგილობრივი და ცენტრალური კომიტეტები, დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. მუშები ახურვალე მონაწილეობას ღებულობენ ყოველგვარ საქმეში. საქმეს რევენ მხოლოდ ნაციონალისტები. ამ ვაჟბატონების მიერ სოციალ-დემოკრატების ლანძღვა-გინება პირდაპირ წესს გადასულია. როდის იქნება, რომ თავს დაგვანებებენ ეს ძალათ მაცხონენი.

სად. აჯიკაბული. დღეს ყველა დარგის მუშა ენერგიულათ მუშაობს, რათა შესაფერისად ისარგებლოს დღევანდელის თავისუფლებით; სად. აჯიკაბულის კონდუქტორები კი (რამდენიმეს გამონაკლებით) ყველაფერ ამას გაურბიან და მის მაგივრად, რომ კავშირი შეკრან სად. აჯიკაბულის სხვა დარგის მოსამსახურეებთა, პარტიებათ იყოფიან: კავკავის კონდუქტორები ცალკე იყრიან თავს, დღიურები ცალკე და „შტატნები“ კიდევ ცალკე. იმ დროს, როდესაც საჭიროა შეერთებული ძალით მუშაობა, ისინი ასე იქსაქსებიან და ცალკევდებიან, აჯიკაბულში ყველა სხვა დარგის მოსამსახურეებმა ამოირჩიეს ათის თავები, ასის თავები, ამასრულებელი კომიტეტი, დელეგატები და სხ... დაარსეს აგრეთვე: 1. შემრიგებელი კამერა, 2. სანიტარული კომისია, 3. რკინის გზის ოთახების გამანაწილებელი კომისია, 4. ნიხრის გამომმუშავებელი კომისია და სხვ... კონდუქტორები კი თავისთვის არიან და აყოლიან ისეთი ვაჟბატონების ფეხის ხმას როგორიც არის ბ. ივანოვი. ეს პირი თავის კომპანიით მოვიდა 9 აპრილის მიტინგზე და რამოდენიმეჯერ გამოვიდა ტრიბუნაზე პროვოკატორული სიტყვებით, რამაც დიდი აღელვება გამოიწვია. მის საპასუხოთ ვრცელი სიტყვები წარმოთქვეს ამხ. კანდელაკმა და ბოკერიამ. საჭიროა ამისთანა პირების შესაფერის ზომებით ალაგმვა. ამხანაგ კონდუქტორებს კი მოუწოდებ კარგად დაუკვირდენ საქმეს, შეკავშირდენ მჭიდროთ ყველასთან ერთად და უკუაგდონ ძველი გზები. **ალ. ჩორჯელი.**

სად. ჯულფა. აქ შეიკრიბნენ რკინის გზის ყველა დარგის მუშები და მოსამსახურეები. იქონიეს-რა მსჯელობა თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობაზე, უმთავრესად კი ღვინით მოვაჭრე ჩარჩებზე, რომელთა თავგასულობა უმაღლეს წერტილამდე აღწევს. ამ ვაჟბატონებს ბევრჯერ მისცეს წინადადება გასწორებულიყვენ, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმეებს. მათ ხელს უწყობენ ძველი მთავრობის ჭირისუფლები. ეს გმირები არიან პროფილე კუპარავა (ნამამასახლისარი), ბ. ბალანჩივაძე (ხასტრაქნიკალი) და სხვ.

იმედია თვით საზოგადოებაც დაგვეხმარება ამ ვაჟბატონების ასალაგმავათ. **გ. ქვიშნარელი.**

სად. ალსტაფა. 16 აპრილს მოხდა დამატებითი არჩევნები რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტის წევრებისა, არჩევნები არასასურველად ჩატარდა. თავი იჩინა შოვინისტურმა შეხედულებამ. სამწუხაროთ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები ასეთ მოვლენებს სულიათ გულგრილათ უცქერიან და ჯეროვან ანგარიშსაც არ უწევენ. თუ ყველგან ასე მოიქცევა, აშკარაა, თუ როგორი შემადგენლობისა ექნება ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც უნდა განაგოს მუშა-მოსამსახურეთა საქმეები. საეჭველია ის თუ იქნება ნამდვილი სულისკვეთების გამომხატველი მთლიანი მასისა. ამიტომაც არის საჭირო მოეწყოს პროფესიონალური კავშირები. მე მოვუწოდებ მთელი ამიერ კავკასიის რკინის გზის საქონლის სადგურის გადამტვირთველ-გადმომტვირთველ მუშებს დაუყოვნებლივ მოაწყონ პროფესიონალური კავშირები, იქონიონ ცენტრალური საბჭო, რომელიც ერთნაირ კანტროლს გაუწევს რკ. გზ. ცენტ. კომ. მოქმედებას. ეცდება განახორციელოს რვა საათის სამუშაო დღე, ხელი შეუწყონ მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა. **ხუხუნაშვილი.**

რევოლუცია პროვინციაში.

სურამი. (მოაგარაკეთა საყურადღებოთ). სურამის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა და აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ბინების შესახებ შემდეგი: სახლის პატრონებს ნება აქვთ ბინებზედ მოუმატონ ქირა შარშანდელთან შედარებით არა უმეტეს ოცდაათი (30) პროცენტისა. ვინც მეტს მოუმატებს დაჯარიმებული იქნება სამჯერ მეტად ზედმეტად აღებულ თანხასთან შედარებით და სხვა ზომებიც იქნება მიღებული მათ წინააღმდეგ. აკრძალული აქვთ სხვა და სხვა პირებს დალალობა. სახლის პატრონებს ევალებათ კომიტეტს აცნობონ თავისუფალ ბინების შესახებ.

სასურსათო კომიტეტი ცდილობს გამოარკვიოს მოაგარაკეთა რაოდენობა და შემოიღოს პირველ საჭიროების საგნების ბარათებით მიცემა.

რადგან გამოცხვარი პური დღეს საკმაო არ არის, კოოპერატივი ცდილობს მოაწყოს რამდენიმე ფურნე.

სასურსათო კომიტეტმა მიიღო 280 ფუთი ფქვილი „მაქარი“ თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისაგან. ნახევარი აქედან გადაეცა კოოპერატივს, დანარჩენი არა წევრებზე დარიგდა. იყიდებოდა 25 კაპ. გირ.

სურამში მიიღეს სამი ვაგონი სიმინდი. ფუთი იყიდება 2 მ. 50 კაპ. და 2 მ. 60 კაპ.

ნახშირის შემოღების გამო ბევრი საქონელი გაქრა ბაზრიდან. ვაჭრებმა ვერ მოინელეს ის აზრი, რომ მათ თავისუფალ ნავარდს ფრთები შეაკვეცეს. სამაგიეროთ ხალხი კოოპერატივს მიაწყდა და რადგან იაფობა იყო სულ გააცარიელეს კოოპერატივი.

აქაური აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედება ბევრს არ მოსწონს. სხვას რომ ვერას გახდენ ზოგიერთმა ვაჟბატონმა ჭორების ვრცელებას მიყო ხელი, როცა კი მოახერხებენ, აგიტაციას ეწევიან. ერთი ასეთ ვაჟბატონის, გამომძიებლის ყოფილ თარჯიმნის—ტატო ლომიძის მოქმედება მოხსენდა კომიტეტს, რომელმაც დაადგინა: გამოეცხადოს ლომიძეს, რომ ის დატუსაღებული იქნება, თუ ახალ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას კიდევ გაბედავს.

სოფლის სასამართლო დაშლილია. მომრიგებელ მოსამართლესაც გაურბის ხალხი, რადგან ნაკლებ ენდობა. მოდიან საჩივრებით კომიტეტთან, მაგრამ კომიტეტი სასამართლოს ფუნქციებს ვერ კისრულობს, რაც ხალხს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. სასურველია ამიერ კავკასიის კომისარიატმა დააჩქაროს სასამართლოს რეფორმა.

საჭიროა აგრეთვე სოფლის კომიტეტების რეორგანიზაცია. როგორც მოსალოდნელი იყო, ძველი წყობილების მოხელეებმა ქურქი გამოიცვალეს და ახალ წყობილების მომხრეთ გამოაცხადეს თავი. ნამდვილათ კი ისევ ძველ მოღვაწეობას განაგრძობენ. მაგ., ბორჯომის კომიტეტში დღესაც წევრათ არის დიდი მთავრის მამულების გამგე ვინმე ვინოგრადოვი. საჭიროა ამ გარემოებას თფილისმა მიაქციოს ყურადღება; ველოდებით ახალ საორგანიზაციო წესდების მიღებას.

სურამის ებრაელებმა ხაშურის კომიტეტს საჩივარი მისცეს ადგილობრივ პოდრიადჩიკთ ნამყოფ ვიზიროვზე. ებრაელები ჩივიან: 1909 წელს დამწვარ ებრაელების სასარგებლოთ დიდძალი ფული შეაგროვა დამწვართა დამხმარე კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარე ვეზიროვი იყო და შეგროვილი ფული დანიშნულებას არ მოხმარდაო. ხაშურის კომიტეტმა ერთ-ერთ წევრს მიანდო საქმის გამოძიება. **№.**

ძ. ახალციხე. ძველი მთავრობის მეფობის დროს ბაზრის გლეხობა საშინელ სივიწროვეს განიცდიდა მებატონების მხრივ. პოლიციის საშვალებით ხალხს უკანასკნელ ლუკმას აცლიდენ ხელიდან და მათრახებით ტყავს აძრობდენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა მებატონე ბეგი ტოლოშელი ასან ბეგი ხიდაობეგოვი, რომლის შვილი დურსუნ ბეგი მთავრობის მამასახლისად იყო. ეს ვაჟბატონები ყოველგვარ ბოროტმოქმედთა ბელადების როლსაც კისრულობდნენ და ხალხს შიშის თავზარს სცემდნენ. დღეს ესენი სხვა ჰანგზე გალობენ, რათა ძველი მდგომარეობა შეინარჩუნონ. საუბედუროთ, ხალხის თვითცნობიერება მეტად დაბალ საფეხურზე სდგას.

მემამულეთა ძალდატანებით, შეუგნებელმა ხალხმა ისევ ძველი პოლიციელნი წამოსკუპა კომისარების და მილიციის უფროსის როლებში, ხუთი წლიწადი მომიხდა ახალციხეში ყოფნა. ამ დროს განმავლობაში მემამულე ბეგების მოღვაწეობას კარგათ გავეცანი და ამ გვარათ დავრწმუნდი, რომ ყოველგვარი ხიფათის სათავეში ესენი სდგნენ: თუ სოფელში საქონელი დაიკარგებოდა, გლეხი ბეგთან მირბოდა, ბეგიც ფულს ახდევინებდა და რამოდენიმე დღის შემდეგ გლეხს საქონელი უბრუნდებოდა; თუ ვისიმე დაიჭერდნენ ბეგი ტუსაღის პატრონს ფულს ახდევინებდა, გათავისუფლებთან გიშველიო; ყაჩაღების მფარველებათაც ესენი გამოდიოდნენ. ერთის სიტყვით სრული ბატონები იყვნენ ხალხისა. ასეთი მდგომარეობა დღესაც გაგრძელდება, თუ რევოლიუციას ახალციხის მაზრაში ბეგები და პოლიციელნი მოექცნენ სათავეში, ამიტომ ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ და ერთხელ და სამუდამოთ გავწმინდოთ სოფელი მავნე ელემენტებისაგან.

„დახჯილი“.

გაზეთის სასარგებლოთ.

გიორგი ლაფანაშვილისაგან 2 მ. „ერთობის“, 2 მ. „პაიკარს“, 2 მ. „კავკ. რაბოჩის“ სასარგებლოთ.

ვარლ. იულ. შათირიშვილისაგან 5 მ.

თეოფილე მღვდელაძისაგან 25 მ.

გიგო დიასამიძისაგან 10 მ. „ერთობის“ და 10 მ. „პაიკარის“ სასარგებლოთ.

კანტორა „განათლებისაგან“ 20 მ.

მაქსიმე ლაცონიასაგან 3 მან.

ვანო ჩიგუნაძისაგან 1 მანეთი.

მივიღეთ „ერთობის“ ფონდისთვის პ. ბურძგლასაგან ხელოსნებში შეგროვილი 14 მანეთი, „პაიქარისთვის“ 10 მ. 50 კ.

ასლან ასათიანისაგან მივიღეთ 3 მ. ექვ. გოგოლაშვილის ხსოვნის პატივსაცემათ.

უდროოთ გარდაცვალებულ მამაჩემის დიმიტრი კვაჭაძის ხსოვნის აღსანიშნავათ გიგზავნით „ერთობის“ ფონდისთვის 3 მ.

იაკინთე კვაჭაძე.

სპირიდონ პაპავასაგან მივიღეთ თფილისის პირველ განყოფილების კონდუქტორებ შორის „ერთობის“ ფონდისთვის შეგროვილი 55 მ.

მივიღეთ დიმიტრი მორჩილაძის მიერ შეგროვილი 12 მ.

ათანას სირაძისაგან მივიღეთ 66 მ., აქედან 10 მ. „ერთობის“ ფონდსა, 36 მან. 27 თებერვალს პეტროგრადში დახოცილების ოჯახთა სასარგებლოთაა და 20 მან. ჯარისკაცთა ორგანიზაციას უნდა გადაეცეს. ეს ფულები შეგროვილია ამხანაგ-ნაცნობებ შორის.

გიორგი და დათიკო კვეზერელიშვილებისაგან 5 მ.

ვლადიმერ რუხაძისაგან 5 მან.

ანდრონიკე მასხარაშვილისაგან 5 მ.

გაახლებთ „ერთობის“ ფონდის სასარგებლოთ 10 მ. ჩემის გარდაცვალებულის მეუღლის ალექსანდრას ხსოვნის აღსანიშნავათ.

სანდრო ნესტორის ძე მახარაძე.

სარაყამიში. გაახლებთ 20 მ. და გთხოვთ შემდეგნაირათ გაანაწილოთ: 10 მ. რევოლიუციაში დახოცილ პეტროგრადის გმირების ოჯახებს, 5 მ. ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაწერათ და 5 მ. „ერთობის“ ფონდს.

ვასილ კონსტანტინეს ძე ბეშკენაძე და ლავრენტი ილიას ძე დვალი

შაგალი. მუშათა პრესის დღის 22 აპრილის აღსანიშნავათ ჩვენ შაგალის მუშები ვსდებთ ჩვენს წვლილს 13 მ. ნახევარი „პაიქარს“ და ნახევარი „ერთობას“.

ბათუმი. გიგზავნით ამხანაგებში შეგროვილს წვლილს 16 მ. 30 კ. „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ.

ამხ. მონდობილობით **ლავრენტი ხომერიკი.**

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის № 33 ში ჯ. კ. მაკარა გაბუნიასაგან შეგროვილი სწერია 14—70. უნდა იყოს 16—70.

№ 34 ში ბათუმიდან სწერია ამხანაგობა „განათლებამ“ უნდა იყოს ამხანაგობა „განთიადი“.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს პატარა წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთში, რომ სამედიატორო სასამართლოში გამოვიწვიო ბატონი დიომიდე ამტონის ძე კეკელიძე, რომელმაც აგერ ოთხი წელი შესრულდა მას აქეთ, რაც თავისი მოსამსახურეთ წაიყვანა ლუკა გიორგაძის ობოლი, რომელსაც ბავშვისთვის კანონიერი ჯამაგირი უნდა მიეცა, მაგრამ ბატონ დიომიდე კეკელიძეს უსარგებლია იმით, რომ ბავშვი უპატრონო იყო და შიშვლად გამოუშვა სახლში, რაც შემიძლია ავხსნა მოწმეებით. დაუყონებლივ ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში და ვადას ვაძლევ ამ წერილის დასტამბვიდან ერთ კვირას და თუ პასუხი არ გამცა, მაშინ ვიტოვებ უფლებას შესაფერი სახელი უწოდოთ; ჩემი მედიატორები იქნებიან დასახელებული, როდესაც თქვენც განაცხადებთ სასამართლოში გამოსვლის სურვილს.

კირილე გიორგაძე.

ს. ოქროსქედის (გურია). სამინისტრო სკოლის მზრუნველები უღრმეს მადლობას უცხადებენ ფელდფებელ დათიკო კვეპენტირაძეს, რომელმაც კავკასიის მე-12 მუშათა ბათალიონის მეექვსე როტაში შეაგროვა ხსენებული სკოლის სასარგებლოთ—56 მან. 90 კაპ.

სად. მიხაილოვის მეხუთე უჩასტკის მუშები გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, რომელთაც შეკრეს, მოქარგეს და დახატეს დროშა პირველ მაისობისთვის.

პატივცემით მუშები.

თფილისის მკერავთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა იწვევს სამედიატორო სასამართლოში შემდეგ პირებს: ავეტის პოგოსოვს, ლევან [illegible] პეტროსიანცს, მელიქ ზარგარიანცს, პ. კაზას, გრიგორი სატკუნას, იაგორ არუთინოვს, ნერსეს ბაბოევს. მათ ბრალათ ედება პარიზის მაღაზიაში მკერვალთა გაფიცვის დროს ამხანაგების ღალატი და შტრეიკბრეხერობა. მედიატორათ ვასახელებთ ამხანაგ ერზნკიანცს, ხანოიანცსა და ნოსოვის ქალს. წინადადებას გაძლევთ თქვენის მხრიდგანაც დაასახელოდ 3 კაცი. ვადას გაძლევთ ერთ კვირას. ადგილს და დროს შემდეგ გაცნობებთ.

კავშირის გამგეობა.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჩემი ბიძის შვილი პარმენ თომას ძე ჭყოიძე მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში 15 ვ. სამხედრო სანიტარის ტრანსპორტში, აგერ ექვსი თვე არის არ ვიცით მისი ამბავი. ვთხოვ ყველას, ვინც კი იცის მის შესახებ რაიმე გვაცნობოს შემდეგი მისამართით: სად. შორაპანი, ერმილე გაჩეჩილაძე.

— ჯ.-კ. ფილიპე მალაქიას ძე ყაჭეიშვილი მსახურებდა 221 სათადარიგო პოლკში მე-8 როტაში, ხუთი თვეა მას შემდეგ, რაც მისს ცოლშვილს მასზე ცნობა არ აქვს, ამიტომ გთხოვენ თუ ვინმემ რამე იცის აცნობონ შემდეგი მისამართით: დ. ჩოხატაურში ხალამპრე ყაჭეიშვილს.

— ჯ.-კ. ვასილ ლუკას ძე მიქაძე მსახურებდა 2 არმეისკი კავკასკი კორპუსში 203 „პეხოტაში“ სუხუმის პოლკში. 1914 წლის გიორგობისთვის შემდეგ არაფერი ვიცით მის შესახებ და თუ ვინმემ იცის რამე გთხოვთ მაცნობოს შემდეგის მისამართით: 2 კავკ. რკ. გზის ბათალიონ. ფოჩტის მოსამსახურ. რადიონ ვლადიმირის ძე მიქაძე.

— პირველ მობილიზაციის შემდეგ არაფერი იცის ჯ.-კ. სიმონ პეტრეს ძე მიქაცარიასი, ნათესავები ითხოულობენ, ვინც კი რამე იცის დასახელებული სალდათის შესახებ აცნობონ ამ ადრესით: ფოთი, სონა ნარჩელაშვილს.

ჩვენი ფოსტა.

ბ. სან—ლის. სამკითხველოს გახსნისთვის ნებართვა საჭირო არ არის.

ჯ.-კ. პროკოპი კიკნაველიძეს. ნაციონალისტებზე არ ღირს წერა, მათ უტაქტობას და ამრევ დამრევ მუშაობას ვინ არ იცნობს.

ხნივიშვილს. ინციდენტის გამორკვევა მოსთხოვეთ ყვირილის მუშათა დეპ. საბჭოს. ჩვენ მათ რეზოლიუციას დავბეჭდავთ.

რედ.-გამომცემელი **ვლ. მ. ბოხოხაძე.**

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეშხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიენდის ქუჩა, № 19.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ენიკვის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი- კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible], —ტრიპითა. დიდი სალინოიდი სპეციალური [illegible] და არხონვალის ტოკით ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის კბედის, სისხლ ნაკლებობის, ჭლექობის, ნევრალგიისთვის. ზერუმენის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: ზემოთავის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ძ. ქ უ თ ა ი ს შ ი.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისან ქუჩა: გოკიელის სახლი.

ქ უ თ ა ი ს ი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.